# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბეტ-თის გაცვანა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 8 თებერვალი. 2023 წ. №15 (9547) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru | ფასი 1 ლარი


## უსინდისო გადამყიდველების (სპეკულანტების) ქვეყანა!

**ირაკლი ღარიბაშვილი:**



იხ. 3 გვ.

### ჩვენს ხალხს უწევს ნებისმიერი პროდუქტის თითქმის 100-პროცენტიანი ფასნამატით შეძენა, რაც კატეგორიულად მიუღებელია!

**ირაკლი კობახიძე:**

## გლობალური ომის პარტიას სააკაშვილი სჭირდება გარეთ, რადგან საქართველოში შექმნან არეულობა...



ირაკლი კობახიძეს კითხვა დაუსვეს საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის მიერ სააკაშვილის სამკურნალოდ გადაყვანის მოთხოვნით შექმნილ სიაზე, რომელსაც შეუერთდნენ ევროპული ქვეყნებიდან ყოფილი მაღალჩინოსნები, ისინი საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებენ, რომ მიიღონ ჰუმანიტარული გადაწყვეტილება, რაზეც კობახიძემ აღნიშნა, მთავარი არის კანონი, კანონის უზენაესობა, სწორედ ამ კრიტერიუმებით მოქმედებენ სახელმწიფო უწყებები.

**„არც მარგველაშვილი, არც მისი მეგობრები არ არიან საერთოდ საინტერესო. საქართველო არის სამართლებრივი სახელმწიფო, როდესაც ნებისმიერ პატიმართან დაკავშირებით არსებობს გათავისუფლების საფუძველი, მიიღებს ამ დროს შესაბამის გადაწყვეტილებას, შესაბამისი უწყება. ჰუმანიტარული მოსაზრებებით რომ მოქმედებდეს სახელმწიფო, ამ შემთხვევაში ცხრა ათასივე პატიმარი უნდა გათავისუფლდეს. რა შუაშია ჰუმანიტარული მოსაზრება. ბუნებრივია, მთავარი არის კანონი, კანონის უზენაესობა, სწორედ ამ კრიტერიუმებით მოქმედებენ სახელმწიფო უწყებები.**

**არის გლობალური ომის პარტია, რომელსაც ერთადერთი ინტერესი აქვს საქართველოში სააკაშვილის გამოშვება, ისინი ხედავენ, რომ ხაზეიშვილები, მელიები და ა.შ. აქ, საქართველოში ვერაფერს მოაწყობენ. მათ უნდათ, რომ სააკაშვილისგან შექმნან ოპოზიციის ლიდერი, ის სჭირდებათ მათ გარეთ, რადგან საქართველოში შექმნან არეულობა და ამ არეულობის საბოლოო წერტილი უნდა იყოს მეორე ფრონტი, ეს არის მათი ერთდერთი ინტერესი, ვინც კი აწერს ხელს ასეთ სამარცხვინო განცხადებებს, ყველა არის გლობალური ომის პარტიის ინტერესებით მოქმედი. ჩვენთვის ასეთი ხელმოწერები არ იქნება რაიმე გადაწყვეტილების მიღების საფუძველი“,** – განაცხადა კობახიძემ.

## პოლიტიკური თამაშები ცუდად შეიძლება დამთავრდეს – არეულობითა და სამოქალაქო დაპირისპირებით

## ამოვიდა ყელში ნაცების პარაპში!




4

## მთავრობამ პრეზიდენტის წინააღმდეგ საკონსტიტუციო სარჩელები უკან გაიწვია

**მთავრობამ პრეზიდენტის წინააღმდეგ შეტანილი საჩივრები, უკან 2023 წლის 11 იანვარს გაიტანა,** – ამის შესახებ საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 6 თებერვალს გამოქვეყნებულ გადაწყვეტილებაშია ნათქვამი.

**„2023 წლის 11 იანვარს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში დარეგისტრირდა მოსარჩელე მხარის, ანუ მთავრობის განცხადება სასარჩელო მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ“,** – ნათქვამია განცხადებაში.

**ცნობისთვის, მთავრობამ საქართველოს პრეზიდენტს რამდენიმე თვის წინ უჩივლა. მმართველი ძალა ამტკიცებდა, რომ პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის მხრიდან კონსტიტუცია რამდენჯერმე, მათ შორის, პარიზსა და ბრიუსელში ვიზიტით დაირღვა.**

## საჭიროა თუ არა თბილისში კრემატორიუმის გახსნა?!




7



9

## მცენარეთა „ცირკსაცავი“

**გმირთა მოედნის გორაკზე მდგარი თბილისის ცირკის შენობის ქვეშ საიდუმლო საცავი იყო!..**

### ბორჯში პირველი 5-ვარსკვლავიანი სასტუმრო გაიხსნა!

5

### ოცმილიონიანი გზები ოზურგეთში

### კახეთის ავტობანი და მაგისტრალს მიღმა დარჩენილი სოფლები

### ალექსეი არესტოვიჩი: ამერიკელები და დასავლეთი ამზადებენ გაცვლას, ჩვენ ვკარგავთ ცოტა დონეცკსა და ლუგანსკს



9

## ირაკლი კობახიძე: გუშინ თქვეს, რომ საპარლამენტო მუშაობას წყვეტენ, დღეს უკან დაიხიეს, როგორც ჩანს, საპარლამენტო მანდატები დაენანათ



„მათ არც დარბაზში ყოფნით და არც დარბაზის გარეთ არ შეუძლიათ რაიმე წვლილის შეტანა ქვეყნისთვის სასიკეთო საქმეებში. ამიტომ, ჩვენთვის რაიმე არსებითი მნიშვნელობა არ აქვს „ნაციონალური მოძრაობა“ სად იქნება. ჩვენ ჩვენი დღის წესრიგი გვაქვს და ამ დღის წესრიგით მოქმედებას გავაგრძელებთ“, – აღნიშნა ირაკლი კობახიძემ.

## ანა წითლიძე: განიხილება მანდატების დატოვებაც

„ჩვენ მივიღებთ და გამოვიყენებთ ყველა იმ ბერკეტს, მათ შორის სამართლებრივს, მათ შორის საპარლამენტოს, მათ შორის ქუჩის აქციებს, რათა შევძლოთ პრეზიდენტ სააკაშვილის გათავისუფლება.



დანარჩენს გაიგებთ, როდესაც კიდევ უფრო დაკონკრეტდება ჩვენი გეგმები აქციებთან, ლოკაციებთან და სხვა დეტალებთან დაკავშირებით. „ნაცმოძრაობა“ ერთიანია ყველა პრინციპულ საკითხზე და პარტიის მთავარი სიძლიერე არის ეს. მიუხედავად იმისა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ არის დიდი პარტია, არის აზრთა სხვადასხვაობა, ყოველთვის იყო აზრთა სხვადასხვაობა, ძალიან ხშირად არის კამათი, მაგრამ ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიც არის პრეზიდენტ სააკაშვილის ჯანმრთელობა, „ნაციონალური მოძრაობის“ ყველა ლიდერი და ყველა წევრი ვართ ერთიანი. ერთიანი ვართ იმაში, რომ ჩვენ უნდა გავაკეთოთ ყველაფერი, შესაძლებელიც და შეუძლებელიც, სააკაშვილის სიცოცხლის გადასარჩენად“, – განაცხადა ანა წითლიძემ.



## „სტრატეგია აღმაშენებელი“ ბოიკოტს შეუერთდა

„მაშინ, როცა ე.წ. სასამართლომ მიიღო მესამე პრეზიდენტის მკვლელობის გადაწყვეტილება, არ შეიძლება, რომ შევეგუოთ ამას. ჩვენთვის ეს არის იძულებითი ნაბიჯი, „ქართული ოცნება“ თანამშრომლობის გზებს არ ტოვებს, ისინი კლავენ ადამიანს. ჩვენ ბოიკოტში გავდივართ იქამდე, სანამ საერთო სამოქმედო გეგმა შედგება ოპოზიციის მიერ. თუ ასეთი გეგმა არ შედგება, „სტრატეგია აღმაშენებელი“ უფლებას იტოვებს, დამოუკიდებლად გადაწყვიტოს „ქართულ ოცნებასთან“ ბრძოლის ფორმები“, – განაცხადა „სტრატეგია აღმაშენებლის“ წევრმა პაატა მანჯგალაძემ.

## ირაკლი ქადაგიშვილი: „ნაცების“ პარლამენტში ყოფნა-არყოფნა საპარლამენტო ცხოვრებას არ შეცვლის...

„მათი ნაბიჯი ემსახურება მათ ჩამოუყალიბებლობას, რადგან ამ მოწვევის პარლამენტში სულ ბოიკოტის რეჟიმში იმყოფებიან. მათი აქ ყოფნა-არყოფნა საპარლამენტო



ცხოვრებას არ შეცვლის. მათ არანაირი კონსტრუქციული აქტიურობა არ ჰქონიათ. ალბათ მათი გადაწყვეტილება მუდმივად ცვალებადი იქნება იმის გათვალისწინებით, რა დღის წესრიგიც ექნებათ. მათ ვერ შეძლეს საკუთარი ადგილის პოვნა პარლამენტში და ეს გამოწვეულია იმ რადიკალური, რევოლუციური დღის წესრიგით, რომელიც მათმა ლიდერებმა დაისახეს. ეს არის შანტაჟის პოლიტიკა, რომლის მიზანია ხელისუფლების ძალადობრივი გზით ხელში ჩაგდება. ისინი 2020 წლიდან 2024 წელს ვერ ელოდებიან. სხვადასხვა საბაბით ცდილობენ რევოლუციური ტალღის აგორებას. ახლა საბაბი სააკაშვილის პატიმრობიდან დახსნა იყო. ამ შანტაჟით უნდათ, ქვეყანაში არეულობა გამოიწვიონ. მხოლოდ სააკაშვილით არეულობას რომ ვერ იწვევენ, ამას ხედავენ და ამიტომ ამის პარალელურად უნდათ რამე ისეთი გააკეთონ, რაც დასავლეთის თვალში საქართველოს დაასუსტებს, რაც შეიძლება, ვიღაცისთვის კიდევ ერთი საბაბი გახდეს, ქვეყანამ სტატუსი ვერ მიიღოს და ამით სახალხო მღელვარებას მიაღწიონ. მათი მხრიდან ქვეყნის მიზნები შანტაჟისთვის არის გამოყენებული“, – განაცხადა ირაკლი ქადაგიშვილმა.

## თამარ ჩერგოლეიშვილი: გატყუებენ, მანდატებს ინარჩუნებენ. არანაირ ბოიკოტში არ გადადიან



ამასაც გატყუებენ. მანდატებს ინარჩუნებენ. არანაირ ბოიკოტში არ გადადიან, – ასე გამოეხმაურა „ტაბულას“ დამფუძნებელი თამარ ჩერგოლეიშვილი „სტრატეგია აღმაშენებლის“ წევრის, პაატა მანჯგალაძის განცხადებას, რომლის მიხედვითაც, პარტია საპარლამენტო საქმიანობას წყვეტს და ბოიკოტს იწყებს.

ჩერგოლეიშვილის თქმით, როგორი „ეროვნულ გამათავისუფლებელი მოძრაობაც“ დაიწყეს, ისეთივე „ბოიკოტს“ აცხადებენ ესენიც და „ნაცებიც“.

## იაგო ხვიჩია: პარლამენტის დატოვებას რომც ვაპირებდე, „ნაციონალური მოძრაობის“ მოწოდების შემდეგ გადავიფიქრებდი, რადგან ახლა იმ ფორმაში არ არიან, რომ მათ მოწოდებებზე იარო



ახლა „ნაცები“ ვერაფერს ისეთს ვერ იზამენ, რასაც აქამდე არ შვრებოდნენ, ამ მოწვევის პარლამენტში სულ ბოიკოტებში გაატარეს დრო, – ამის შესახებ ოპოზიციონერმა დეპუტატმა, იაგო ხვიჩიამ საქართველოს პირველ არხს განუცხადა.

როგორც იაგო ხვიჩიამ აღნიშნა, „ნაცმოძრაობა“ ახლა იმ ფორმაში არ არის, მათ მოწოდებებზე რომ იარო.

„სადღაც შეიკრიბნენ და დაიშალნენ. მგონი, პარლამენტის დატოვება ბოლომდე არ იყო მოფიქრებული, რადგან ეკა ხერხეულიძეს საყვედური ჰქონდა, უცნაური დატოვება არისო. დატოვებას რომც ვაპირებდე, მათი მოწოდების შემდეგ გადავიფიქრებდი, რადგან „ნაცმოძრაობა“ ახლა იმ ფორმაში არ არის, მათ მოწოდებებზე რომ იარო. შემთხვევით რომც დაემთხვიო, უნდა გადაიფიქრო. კარგი ხანია, არეულები არიან“, – განაცხადა ხვიჩიამ.

## ალეკო ელისაშვილი: პარლამენტიდან თუ გადიან, გავიდნენ, თუ რჩებიან, იმუშაონ, თან, ხელფასს იღებენ და თან, ბოიკოტში არიან, მაგარი სამსახურია



„ამბობენ, პარლამენტში ჯერ საქმიანობას ვწყვეტთო და მანდატებს დავტოვებთ თუ არა, კონსულტაციები უნდა გავიაროთო. თუ პარლამენტიდან გადიან, გავიდნენ, თუ რჩებიან, დარჩნენ და იმუშაონ. თან ხელფასს იღებენ და თან ბოიკოტში არიან. მაგარი სამსახურია, იდეალური სამსახურია – არ დადიოდე და ხელფასს იღებდე. მთელი საქართველო ასეთ სამსახურს ინატრებს. არეულები არიან, რამდენიმე ფრთა არის, რომელიც ცდილობს, ერთმანეთს გაეჯიბროს რადიკალიზმში. ძალიან უთავბოლო და ამაოა ეს ყველაფერი. რაც შემოვიდნენ, მას შემდეგ ამბობენ, რომ მანდატებს დატოვებენ. ბოდიში, მაგრამ ჩვენ ჩვენს პარტიას მივხედავთ. თავის არეულობას მიხედონ“, – განაცხადა ალეკო ელისაშვილმა.

## რას აცხადებს ზნედაცემული ლიზა იასკო?..



მიხეილ სააკაშვილის ბოლო მეუღლე, **DJ David Brown**-ის (არახამია) ფრაქციის დეპუტატი ლიზა იასკო ზნედაცემულად აცხადებს, რომ თურმე „საქართველოს დროშა სისხლიანია“ – წერს ექსპერტი გია აბაშიძე. „საინტერესოა, „სისხლიანი პასპორტით“ გიული ალასანიამ მიშას კიევის ბინა რომ გადაუფორმა იასკოს, მაშინ ვერ შენიშნა ქართულ დოკუმენტაციაზე „სისხლი“? პროტესტის გამოხატვა გამიგია, მაგრამ საკუთარ თავს არ უნდა აკადრო ამგვარ ფსკერზე ხოხვა! იასკოს და ბევრ აქაურ სექტანტსა და ანგარებიან ნაცაქტივისტსაც ეხება.“ – წერს აბაშიძე Facebook- ზე.

* * *

უკრაინის მოქმედი ხელისუფლების ნახევარი მოხსნილი ან დაჭერილი რომ არის კორუფციის ბრალდებით, მაშინ უკრაინის დროშა არ არის სისხლიანი, ის კანონის აღსრულებაა და ჩვენი დროშა სისხლიანია?, – წერს ექსპერტი ნინო ფოჩხუა ლიზა იასკოს განცხადების შესახებ. ექსპერტი აღნიშნავს, რომ დაიმახსოვრონ, აღარ არის მიშას დრო, როცა ის და მისი მთავრობა უსიტყვოდ ასრულებდა გარედან დავალებებს.

„უკრაინის მოქმედი ხელისუფლების ნახევარი მოხსნილი ან დაჭერილი რომ არის კორუფციის ბრალდებით, მაშინ უკრაინის დროშა არ არის სისხლიანი, ის კანონის აღსრულებაა და ჩვენი დროშა სისხლიანია, როცა კანონი აღსრულდა და დამნაშავეს სასჯელი მიესაჯა, როცა ვერ გაჭრა ვერც პატიმრის სიმულაციამ და ვერც გარედან ზეწოლამ? თუ რამე პრეტენზია აქვთ იასკოს და სხვებს, ამისთვის არსებობს კანონით გათვალისწინებული ქმედებები და ჩემი ქვეყნის ლანძღვას შეეშვან, თან დაიმახსოვრონ, აღარ არის მიშას დრო, როცა ის და მისი მთავრობა უსიტყვოდ ასრულებდა გარედან დავალებებს.“ – წერს ფოჩხუა Facebook-ზე.



# მედიასაშუალებების აკრედიტაციის ახალი წესი

**პარლამენტის თავმჯდომარე ამ დღეებში მედიასაშუალებების აკრედიტაციის წესის შესახებ ბრძანებას გამოსცემს.**

„გამოვცემ ბრძანებას, რომელიც შეეხება საქართველოს პარლამენტში მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენელთა აკრედიტაციის წესს, ანუ ჟურნალისტების აკრედიტაციას პარლამენტში. როგორც იცით, წლებია, ეს იყო გარკვეული ხარვეზი, რომ არ გვქონდა აკრედიტაციის წესი. ამიტომ საჭირო იყო ყოველ ჯერზე საშვების დაშვება ჟურნალისტებისთვის და ა.შ. ე.წ. საპარლამენტო ჟურნალისტიკა ამ მხრივ არ არსებობდა. ამიტომ ჩვენმა პარლამენტის კვლევითმა ცენტრმა სხვადასხვა ქვეყნის პარლამენტების გამოცდილების ანალიზი შეადგინა. ამ საუკეთესო გამოცდილებაზე დაყრდნობით შედგა აკრედიტაციის წესი, რომელიც ეფუძნება ორ ძირითად პრინციპს. პირველი, ეს არის, რომ ხელი შევუწყოთ მედიას, რათა ყველაფერი, რაც მოქალაქეებისთვის მნიშვნელოვანია, გაშუქდეს, საპარლამენტო საქმიანობა გაშუქდეს.

მეორე მხრივ, უზრუნველყოფილი იყოს პარლამენტში სამუშაო

# უსინდისო გადამყიდველების (სპეკულანტების) ქვეყანა!

## ირაკლი ღარიბაშვილი: ჩვენს ხალხს უწევს ნებისმიერი პროდუქტის თითქმის 100-პროცენტიანი ფასნამატით შეძენა, რაც კატეგორიულად მიუღებელია!



**„...ვახსენე ინფლაცია და მინდა ჩვენი საზოგადოებისთვის კიდევ ერთხელ გარკვეული განმარტება გავაკეთო. მე რამდენიმე კვირის წინ დავავალე კონკურენციის სააგენტოს სურსათის პროდუქტების ფასების შესწავლა. მაინტერესებდა, რამდენად კეთილსინდისიერად მუშაობენ იმპორტიორები და რამდენად გონივრული, ასე ვიტყოდი, მარჟებით, მოგებით მუშაობენ იმპორტიორები. შედეგი მართლაც იყო შემაშფოთებელი. და მე მინდა, საზოგადოებას წარვუდგინო ეს პირველადი მოკვლევის შედეგები.**

**ძირითადი პროდუქტები დავამუშავებინე და აღმოჩნდა, რომ, მაგალითად, ბრინჯი იქნება ეს თუ წიწიბურა, მაკარონი, შაქარი, მარილი, ზეთი, საბითუმო ფასებზე დამატებულია, ჯერ გასაყიდ ფასს არ ვამბობ, 50-60-70-80%! ამას ემატება, რა თქმა უნდა, შემდეგ უკვე საცალო ფასები.**

**ფასნამატი მინიმუმ 25-30%-ია და გამოდის, რომ ჯამში ჩვენს მოსახლეობას, ჩვენს ხალხს უწევს თითქმის 100%-იანი ფასნამატით შეძენა, რაც, რა თქმა უნდა, კატეგორიულად მიუღებელია“**, – ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა მთავრობის 6 თებერვლის სხდომაზე განაცხადა.

ირაკლი ღარიბაშვილმა შესაბამის მინისტრებს სურსათის იმპორტიორებთან შეხვედრა და პროდუქტების მაღალ ფასებთან დაკავშირებით გამოსავლის გზების მოძებნა დაავალა.

**„ჩვენი მხრივ, მთავრობა, ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რომ ეს ვითარება, რაც დღეს ქვეყანაში გვაქვს, არის მიღწეული და შენარჩუნებული. ამ დროს, იმპორტიორების მხრიდან ასეთი დამოკიდებულება არის აბსოლუტურად მიუღებელი. ამიტომ, მე მინდა დავავალო დღეს მთავრობის სხდომაზე ეკონომიკის, ფინანსთა და სოფლის მეურნეობის მინისტრებს, რომ სასწრაფოდ გააკეთოთ სამუშაო ჯგუფი, დაიბაროთ ყველა ის მსხვილი იმპორტიორი, დაიწყოთ ამ საკითხების შესწავლა და მოახდინოთ შესაბამისი რეაგირება.**

**მე მაქსიმუმ ორ კვირაში უნდა მქონდეს მაგიდაზე სრული სურათი შესაბამისი გამოსავლის გზებით. ეს, რა თქმა უნდა, არის მიუღებელი, ამხელა მოგებით, გვახსოვს ძალიან კარგად, მუშაობდნენ წამლების იმპორტიორები, მედიკამენტების შემომტანები. გახსოვთ, რამხელა აჟიოტაჟი მოჰყვა მაშინ ამ ამბავს, როცა ეს თემა გავხსენით. მაგრამ შედეგიც სახეზე იყო. გავხსენით თურქეთის ბაზარი და ახლა უკვე არის რეფერენტული ფასები, რამაც 60-70-80 პროცენტით შეამცირა მედიკამენტებზე ფასები და ჯამში ჩვენმა მოსახლეობამ 200 მლნ ლარის ეკონომია გააკეთა, ანუ საკუთარი ჯიბიდან დანახარჯები შემცირდა 200 მლნ ლარით.**

**ამიტომ, მე ვხედავ აქ ძალიან დიდ პოტენციალს, ვხედავ, რომ აქ, სამწუხაროდ, არ არის სწორი მიდგომა იმპორტიორების მხრიდან. ამიტომ, საჭიროა მათთან საუბარი, ამიტომ, მე დიდი იმედი მაქვს, რომ ჩვენს ამ მოწოდებას და ამ მიმართვას ანგარიშს გაუწევენ და გაითვალისწინებენ. არ შეიძლება ხალხის ხარჯზე ასე გამდიდრება, ეს არის არასწორი საქციელი“...**

პრემიერ-მინისტრმა მთავრობის სხდომაზე ასევე ისაუბრა ქვეყანაში ნავთობის იმპორტიორების მხრიდან მაღალ ფასნამატზე: **„მაღალი მოგებით მუშაობენ ჯერ კიდევ ნავთობის იმპორტიორები, რაც მიუღებელია. მინდა მოგმართოთ თქვენ, ბატონო მინისტრებო, უნდა დაიბაროთ თქვენ ნავთობის იმპორტიორები და აქაც მოვახდინოთ რაღაც გონივრულ ზღვარზე ფასების ჩამოწევა“.**

როგორც პრემიერმა აღნიშნა, **არ შეიძლება, რომ ერთ ლიტრ ბენზინზე იყოს თითქმის ერთ ლარამდე ფასნამატი.**

**ამ საკითხს სჭირდება მუდმივი მონიტორინგი და ყურადღება, რომ ვინმეს გარკვეული ცდუნება არ გაუჩნდეს. ადრე იყო ბევრი საუბარი, რომ ლარის კურსი იყო ძალიან მაღალი - 3,3-ზე, 3,4-ზე და ამიტომ ვერ ახერხებდნენ ფასების დაწევას. ჩვენი მუშაობის შედეგად ეროვნული ვალუტა არის დასტაბილურებული – 2,60-ზე, 2,65-ზე არის ჩამოსული თითქმის და ამ ადამიანებმა ფასები იგივე ნიშნულზე შეინარჩუნეს, რაც არასწორია, მარტივად და კორექტულად რომ ვთქვათ.**

**ამიტომ, ამ საკითხს სჭირდება აქტიური მუშაობა და დარეგულირება. იმედი მაქვს, რომ ძალიან მალე წარმოადგენთ თქვენს ხედვას და გამოსავალს“...**

## ჩვენმა მთავრობამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ქვეყანაში არის მშვიდობა, სტაბილურობა, მაღალი ეკონომიკური ზრდა!

**...ჩვენმა მთავრობამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ქვეყანაში არის მშვიდობა, სტაბილურობა, მაღალი ეკონომიკური ზრდა. უმუშევრობა და სიღარიბე არის ისტორიულ მინიმუმზე დასული,** – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ბოლო მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

როგორც პრემიერმა აღნიშნა, ბოლო ორ წელიწადში შეიქმნა 220 000 სამუშაო ადგილი, ლარის კურსი არის სტაბილური და მთავრობას აქვს ძალიან ბევრი მასშტაბური პროექტი დაგეგმილი, რომლებიც წელს განხორციელდება.

**„მინდა კიდევ ერთხელ შევაფასო არსებული ვითარება. იცით, რომ გასული წელი დავხურეთ ორნიშნა ეკონომიკური ზრდით.**

**რამდენიმე კვირის წინ გამოქვეყნდა დაზუსტებული მონაცემები, კერძოდ, 10,1 % არის 2022 წლის მონაცემები, რაც ნიშნავს იმას, რომ ბოლო ორი წელია ჩვენ გვაქვს ორნიშნა ეკონომიკური ზრდა. ეს, რა თქმა უნდა, შემთხვევით არ ყოფილა. ეს არის ჩვენი მთავრობის, ჩვენი ხელისუფლების გააზრებული, გონივრული პოლიტიკის შედეგი. ჩვენთვის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა იყო ორნიშნა ინფლაცია. გასულ წელს იყო პერიოდი, როდესაც ინფლაციამ მიაღწია 12 და 13%-ს, მაგრამ ეს არ იყო მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში. ეს არის გლობალური გამოწვევა, პრობლემა, რომელიც დაიწყო კორონავირუსის პანდემიის დროს, შემდეგ გაგრძელდა უკრაინის ომის შემდეგ. ამას ევროპაში ომით გამოწვეული ინფლაციაც დაარქვეს. ჩვენ არ ვიქნებოდით გამონაკლისი ამ შემთხვევაში. ამის მიუხედავად, ჩვენ მოვახერხეთ, რომ ინფლაციის მაჩვენებელი იწყებს დასტაბილურებას. კერძოდ, 9,4%-ია უკვე მიმდინარე ინფლაცია, რაც, შეიძლება ითქვას, რომ გვაძლევს ოპტიმიზმის საფუძველს, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. ჩვენი ამოცანაა, რომ მაქსიმალურად, კიდევ უფრო შევამციროთ ინფლაცია. მოგეხსენებათ, ფასები არის ის პრობლემა და გამოწვევა, რომელიც დღეს მსოფლიოსა და ჩვენ ხალხს აწუხებს.**

მთავრობის მეთაურის თქმით, **დაგეგმილია ბევრი მასშტაბური პროექტი, რომლებიც წელს განხორციელდება. აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა აეროპორტის პროექტზე, რომელიც 500 მლნ დოლარის ინვესტიციას გულისხმობს. წელსვე იგეგმება ანაკლიის პორტის მშენებლობის დაწყებაც, ასევე მიმდინარეობს მუშაობა ხუდონის პროექტის მოდიფიცირებაზე.**

როგორც პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, **მსხვილი პროექტების განხორციელება მთავრობის თანამონაწილეობით იგეგმება.**

ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, **ხუდონჰესის არსებული პროექტის მიხედვით, სოფლის, საფლავებისა და ეკლესიის დატბორვა იყო გათვალისწინებული, მთავრობა კი, ახალ პროექტზე მუშაობს იმისთვის, რომ ჰესის აშენების შემთხვევაში დატბორვა აუცილებელი აღარ იყოს.**

როგორც პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, **„ასევე ჩვენ გვაქვს ძალიან კარგი ინიციატივა – ჩვენ წელს უკვე უნდა დავიწყოთ 10 ქალაქსა და 10 რეგიონში მსხვილი ურბანული განახლების პროექტი, რაც გულისხმობს სრულ რეაბილიტაციას მსხვილი ქალაქებისა. ჩვენ შევარჩიეთ ტურისტებისთვის ყველაზე მეტად პოპულარული ადგილები როგორიცაა ბორჯომი, ბაკურიანი, წყალტუბო, მესტია, ყაზბეგი, ქუთაისი, ბათუმი და ა.შ. დეტალურ პროგრამას ძალიან მალე წარმოგიდგენთ. აღნიშნულზე ირაკლი ქარსელაძის სამინისტრო მუშაობს აქტიურად და რამდენიმე ხანში წარმოვადგენთ ამ გეგმას“.**

**ყველაფერი კეთდება, რათა ქვეყანაში დადებითი დინამიკა იქნეს შენარჩუნებული.**

---

**გარემო. შესაბამისად, არის წესები, რომელიც, ბრძანების მიღებისთანავე, რა თქმა უნდა, გამოქვეყნდება და დეტალებს შეგიძლიათ, გაეცნოთ“.**

როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ განმარტა, იქნება საპარლამენტო ჟურნალისტის აკრედიტაცია, რომელიც მიეცემა მედიის იმ წარმომადგენლებს, რომლებიც აშუქებენ საპარლამენტო საქმიანობას. პაპუაშვილის თქმით, მათ, საპარლამენტო ჟურნალისტის სტატუსით, ამ აკრედიტაციით შეეძლებათ, დაუბრკოლებლად შესვლა და მუშაობა პარლამენტში.

**„ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ, ვთქვათ, შეიძლება, იყოს ცალკეული სიუჟეტი მოსამზადებელი, ან იყოს ისეთი მედია, რომელიც არ არის აკრედიტებული, მათ შორის უცხოური მედია, იქნება სპეციალური აკრედიტაცია, რომელიც იმოქმედებს ერთი დღის განმავლობაში სპეციალურად გარკვეული სიუჟეტის მოსამზადებლად ან რაღაც მასალის შესაგროვებლად. ორი სახის აკრედიტაცია იქნება“**, – აღნიშნა პაპუაშვილმა.

მისივე განცხადებით, ჟურნალისტებისთვის აკრედიტაციის წესში დადგენილია რაოდენობები.

**„რაც შეეხება დიდ მედიებს, მაუწყებლებს, რომლებსაც აქვთ ეროვნული მაუწყებლობა, დადგენილი იქნება, რომ ექნებათ შვიდი გადამღები ჯგუფის აკრედიტების შესაძლებლობა. გადამღებ ჯგუფში შედის როგორც რეპორტიორი, ისე ოპერატორი, ტექნიკური პერსონალი. ამიტომ მაქსიმუმ შვიდი შეეძლება, რომ ჰყავდეს ეროვნულ მაუწყებლებს.**

**რა თქმა უნდა, ონლაინ გამოცემებისთვის და ბეჭდური გამოცემებისთვისაც არის გამოყოფილი რაოდენობები. გაზეთებისთვის და ჟურნალებისთვის ორი ჟურნალისტი, ასევე ორი ჟურნალისტი რადიოსთვის, ონლაინ გამოცემისთვის ოთხი ჟურნალისტი. საზოგადოებრივი მაუწყებელი – როგორც საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, ისე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის – შვიდი გადამღები ჯგუფი, ეროვნული მაუწყებლები, შვიდი გადამღები ჯგუფი და სხვა ტელევიზიები, სამი გადამღები ჯგუფი. ჟურნალისტში იგულისხმება როგორც რეპორტიორი, ისე ფოტოგრაფი, ოპერატორი, ტექნიკოსი, რომელიც ახორციელებს ამ საქმიანობას.**

**თავად აკრედიტაციის პროცედურა არ იქნება რთული. ყველა მიიღებს აკრედიტაციის საბუთს და ამ საბუთით, როგორც ჩვენ შემოვდივართ შენობაში ჩვენი საბუთით, უკვე შეეძლებათ შემოსვლა და მუშაობა თავისუფლად“**, – განაცხადა პაპუაშვილმა.

პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, წესდება ასევე გარკვეული საქმიანობის და ქცევის წესები პარლამენტში, რათა უზრუნველყოფილი იყოს როგორც პარლამენტის, ისე მისი ვიზიტორებისთვის საქმიანი გარემო.

**„ეს წესებიც ეფუძნება სრულად იმ ევროპულ გამოცდილებას, რომელიც სხვადასხვა პარლამენტში არის. ამის გათვალისწინებით, იმედი მაქვს, რომ, ერთი მხრივ, თავად ეს სტატუსი საპარლამენტო ჟურნალისტისა კვლავ დაბრუნდება და ღირებული იქნება, რაც თავისთავად, მეტ პასუხისმგებლობასთან ერთად, პრესტიჟსაც მატებს საპარლამენტო ჟურნალისტის საქმიანობას.**

**ვადებს რაც შეეხება, დაგეგმილია, რომ ექნებათ შესაძლებლობა მედიებს, 20 თებერვლამდე წარმოადგინონ განაცხადები და ჩვენ უზრუნველვყოფთ შესაბამისი აკრედიტაცის გაცემას“**, – აღნიშნა პაპუაშვილმა.

მისივე ინფორმაციით, აკრედიტაციის წესზე პარლამენტი პირველი მარტიდან გადადის.

## პოლიტიკური თამაშები ცუდად შეიძლება დამთავრდეს – არეულობითა და სამოქალაქო დაპირისპირებით




# ამოვიდა ყელში ნაცების პარპაში!



მათი მშვიდი ცხოვრება დასრულდა, პოლიციასთან ერთად მოუწევთ ძილი – ენმ-ს აქცია ღარიბაშვილის სახლთან

**ხელისუფლების შეცვლის შემდეგ სახელმწიფო გადატრიალების ბრალდებით სუსში ათობით სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, იყო რიგი დაკითხვებისა, მაგრამ არც ერთი საქმე ბოლომდე მიყვანილი არ არის. არც ერთი რევოლუციონერი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული არ ყოფილა, მათ შორის გუბაზ სანიკიძე, რომელიც არაერთი სახელმწიფო გადატრიალების მოწოდების ავტორია.**

**ჯერ კიდევ ჭიკაიძის შს მინისტრობის დროიდან დაიწყო საუბარი რევოლუციაზე და მაშინ მზადდებოდა საგურამოების რევოლუცია, შემდეგ იყო აქცია „რუსთავი 2“-ის დასაცავად და პროცესების მეტი რადიკალიზაციისთვის სააკაშვილი ითხოვდა ორსული ქალის მკვლელობას. საერთო ჯამში „ნაციონალურ მოძრაობას“ პროცესების რადიკალიზაციის სურვილი რამდენჯერმე ჰქონდა.**

დღეს, გამოძიებისა და ხელისუფლების მიერ გათამამებული „ნაციონალური მოძრაობა“ ისევ ღიად საუბრობს ომზე და რევოლუციაზე. საჯარო განცხადება უკვე არის გამოძიების დაწყების საფუძველი, თუმცა სუს-ს ამ ეტაპზე გამოძიება არ დაუწყია, მაგრამ ცხადია, რომ განცხადება, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებისგან კეთდება, სახელმწიფოს მხრიდან ადეკვატურ რეაგირებას მოითხოვს.

**მიხეილ სააკაშვილის** გათავისუფლების „შტაბის ხელმძღვანელი“ **გიორგი ჩალაძე**, რომელიც რადიკალური განცხადებებით გამოირჩევა, ხელისუფლებას ღიად ემუქრება და ამბობს, რომ თუ არ უნდათ, ქუჩაში ომი მიიღონ, მიხეილ სააკაშვილის საკითხი უნდა გადაწყდეს დადებითად. ჩალაძე აზუსტებს, რომ ეს არის მუქარა, რადგან სამართლიან პროტესტს ხალხი მართავს და ამას ვერავინ შეაფერხებს.

„ნაციონალური მოძრაობა“ რომ ამ რადიკალიზმს არ ემიჯნება ამას ადასტურებს **გიორგი ბოტკოველის** განცხადებაც, რომელიც არ მალავს, რომ პარტია პროტესტის ყველა ფორმას გამოიყენებს იმისთვის, რომ პირველ რიგში, მიხეილ სააკაშვილი იყოს თავისუფალი

* * *

პროცესების რადიკალიზაციის შემთხვევაში, როგორც ხელისუფლებაში ამბობენ, შესაბამისი იქნება მათი პასუხი. იუსტიციის მინისტრის **რატი ბრეგაძის** განცხადებით, შანტაჟით ბრძენ ქართველ ხალხს ვერ შეაშინებთ.

**„ჩალაგამოვლებული ნაციონალური ბოლშევიკების პროპაგანდა: „უსამართლობა – სამართლიანობაა, უკანონობა – კანონიერება, სისხლისღვრა – მშვიდობა და სამართალი არის ის, რასაც ვიტყვით ჩვენ!“ თქვენი შანტაჟით ბრძენ ქართველ ხალხს ვერ შეაშინებთ. ძალაუფლების დაბრუნების მანიაკალური წყურვილით განპირობებული მუქარის განხორციელების მცდელობას კი კანონი და სამართალი შესაბამის ადგილს მიუჩენს!“**

ანალიტიკოსების შეფასებით გიორგი ჩალაძის და გუბაზ სანიკიძის განცხადება არის სისხლის სამართლის აღძვრის საფუძველი. როგორც სამართალმცოდნე **დავით ზარდიაშვილი** ამბობს, ერთი მხრივ არის სამართლებრივი პრინციპები, ხოლო მეორე მხრივ არის პოლიტიკური კონიუნქტურა. ანალიტიკოსის განცხადებით, პოლიტიკური კონიუნქტურა და მით უმეტეს საერთაშორისო ფორმა ისეთია, რომ გლობალური ომის პარტიიდან აშკარაა პოლიტიკური ზეწოლა საქართველოზე.

**„ცხადია, ამ ვითარებაში ჩალაძისთვის და სანიკიძისთვის ბრალის წაყენება სავსებით მართლზომიერი იქნება, რადგან მათ დასჯადი ქმედება ჩაიდინეს – მოწოდება სახელმწიფო ხელისუფლების ძალადობის დამხობისკენ. რასაკვირველია, ეს საჯაროდ გაკეთებული განცხადებაა და ეს არის სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადი ქმედება, ეს ფაქტია, მაგრამ მეორე მხრივ არის პოლიტიკური კონიუნექტურა, რომელიც ცხადია, მართლმსაჯულების განხორციელებას და სამართალს აყოვნებს, მაგრამ საბოლოო ჯამში, ვერ შეაყოვნებს. აუცილებლად მოეკითხებათ, უბრალოდ, ყველაფერს თავისი დრო აქვს.**

**ის, რომ ის საქმეები, რომელზეც თქვენ გაამახვილეთ ყურადღება, ბოლომდე არაა მიყვანილი, არ ნიშნავს, რომ ეს საქმეები არ არსებობს და ამიტომ დღის წესრიგიდან გაქრა. არსებობს პოლიტიკური კონიუნქტურა და საუბედუროდ, გვიწევს ამას ანგარიში გავუწიოთ. მთავარი, რაც ქმნის ამ კონიუნქტურას ქვეყნის შიგნით, ეს არის თავად ამომრჩევლის ნება. ცხადია, ჩვენ ვცხოვრობთ დემოკრატის პირობებში და დემოკრატიის პირობებში, ბუნებრივია, ამომრჩევლის ნება არის ძალიან მნიშვნელოვანი, თუ არა გადამწყვეტი. საუბედუროდ, ზოგჯერ ეს სამართალზე მეტიც არის“**, – აღნიშნა **დავით ზარდიაშვილმა.**

გამოძიების დაწყების აუცილებლობაზე საუბრობს პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძე**, რომლის განცხადებით, ფაქტია ისიც, რომ ხელისუფლება ცდილობს წამებული გმირები არ შექმნას რადიკალური ოპოზიციისგან და არ გამოიყენოს ძალისმიერი მეთოდი.

**„ყველა დაგეთანხმებათ, რომ ჩალაძის და სანიკიძის განცხადება არის გამოძიების დაწყების საფუძველი. საჯაროდ გაკეთდა მოწოდება ომზე, მეტი რაღა უნდა მოხდეს. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ჩვენი ხელისუფლება ცდილობს, რომ წამებული გმირები არ შექმნან... სისხლის სამართლის საქმე რომ აღიძრას, მერე ამას მოჰყვება შემდეგი ნაბიჯები. გვახსოვს ანალოგიური სისხლის სამართლის საქმე, როდესაც მელიამ სამაჯური მოისროლა. ანუ, პირიქით, გამოწვევებზე წავიდა. შეიძლება ეშინიათ, რომ ეს სტილი არ განმეორდეს. ამიტომ, არ მაქვს მოლოდინი, რომ ამ ეტაპზე არსებით ნაბიჯებს გადადგამენ.**

**მაგრამ მეორე მხრივ, თუკი სასამართლო მიიღებს მათთვის მიუღებელ გადაწყვეტილებას და გამოვლენ ქუჩაში, შეიძლება რაღაც პროცესის იერი გააჩინოს შეძახილებმა ომზე და მაშინაც შეიძლება ჩაერთოს გამოძიება. თუმცა, ესეც გვინახია, მძიმე პროცესის ხასიათი მიუღია მოწოდებას, მაგრამ მაინც არ ჩართულა ძალოვანი სტრუქტურები და ეს ცალკე მსჯელობის საკითხია, რაც დაკავშირებულია იმასთან, რომ ხელისუფლებას ძალიან აკლია თავდაჯერებულობა“**, – ამბობს საყვარელიძე.

პოლიტოლოგის შეფასებით, რადიკალებმა ვერც ერთხელ ვერ მოახერხეს ხალხის აყოლიება და ეჭვობს, რომ ახლა მოახერხონ იმ რაოდენობის ხალხის მხარდაჭერა, რაც საჭირო იქნება იმისათვის, რომ დესტაბილიზაციას მიეცეს უფრო შთამბეჭდავი სახე.

ანალიტიკოსი **სოსო მანჯავიძე** თვლის, რომ როგორი კომიკური პერსონაც არ უნდა იყოს გუბაზ სანიკიძე, მას ეს განცხადება არ უნდა გაუტარონ. მისი თქმით, იმის ფონზე, როდესაც გარშემო მძიმე ვითარებაა, პოლიტიკური თამაშები ცუდად შეიძლება დამთავრდეს.

**„არც ჭიჭე ვაშაძის და მისი ტრიოს რევოლუციური მოწოდებები უნდა დარჩეს რეაგირების გარეშე. კეთილი ინებონ შესაბამისმა ორგანოებმა და დაიბარონ გამოკითხვაზე. თქვან, კერძოდ, უკრაინაში რომელ მებრძოლებთან ერთად აპირებს სახელმწიფო გადატრიალებას.**

**ასევე უნდა აღიძრას საქმეები იმათზე, ვინც უკრაინიდან იმუქრება და ნერვები დააწყვიტა აქ ხალხს. ზოგადად, ასეთი მოწოდებების გამო პასუხისმგებლობა უნდა იყოს სწრაფი და მკაცრი. ამოვიდა ყელში ამათი პარპაში, ისევე როგორც მათი გამოყენება პოლიტიკური მიზნებით. მძიმე სიტუაციაა გარშემო, პოლიტიკური თამაშები ცუდად შეიძლება დამთავრდეს – არეულობითა და სამოქალაქო დაპირისპირებით. ამიტომ არავის არ აქვს რისკის უფლება“**, – აცხადებს **სოსო მანჯავიძე.**

**თამთა ქარჩავა**

## ლევან ხაბეიშვილი: დღეიდან „ქართული ოცნების“ მაღალი თანამდებობის პირებს არ ექნებათ მოსვენება...

**„დღეიდან „ქართული ოცნების“ მაღალი თანამდებობის პირებს არ ექნებათ არანაირი მოსვენება. პრემიერი ღარიბაშვილი ამას პირველი იგრძნობს. „ყველგან მოგაკითხავენ ის ადამიანები, ვისაც ჩაგრავთ და ვისაც უკლავთ ევროპულ მომავალს. ყველამ კარგად დაიმახსოვრეთ, დამთავრდა თქვენი მშვიდობიანი, უზრუნველი, გაქსუებული ცხოვრება.**

**ყველგან შეგექმნებათ პრობლემა. „ნაციონალური მოძრაობა“ აღარ აპირებს აღარანაირ განხილვებში მონაწილეობას და რაღაც თამაშებში შეყოლას. ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ და ვაკეთებთ, რომ ჩვენი ქვეყნის ევროპულ მომავალს არ შეექმნას საფრთხე. როცა ვსაუბრობთ, რომ პარტნიორებს შევხვდებით, სწორედ ამიტომ შევხვდებით.**




**ჩვენ ვწყვეტთ საპარლამენტო მუშაობას და მათ კარგად უნდა იცოდნენ, უბრალოდ, იძულებულები ვართ, ასე მოვიქცეთ. ყოველდღიური პროტესტი და სახალხო მღელვარება იქნება პასუხი „ქართულ ოცნებაზე“, ბიძინა ივანიშვილზე“**, – განაცხადა ხაბეიშვილმა.

# სახელმწიფოს თანადგომით, მსხვილი ინვესტიციით გორში პირველი 5-ვარსკვლავიანი სასტუმრო გაიხსნა!

**ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ მარიამ ქვრივიშვილმა გორში 5-ვარსკვლავიანი სასტუმრო „გორი ინნ“-ის გახსნაში მიიღო მონაწილეობა.**

გახსნით ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებული მიხეილ შაყულაშვილი, გორის მუნიციპალიტეტის მერი ვლადიმერ ხინჩეგაშვილი, სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ დირექტორი მიხეილ ხიდურელი და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მაია ომიაძე.

სასტუმრო „გორი ინნ სააგენტოს „აწარმოე საქართველოში სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების კომპონენტით სარგებლობს.

**– აწარმოე საქართველოში პროგრამის მხარდაჭერით გორში 120 ნომრიანი სასტუმრო გავხსენით, რომელიც ხელს შეუწყობს რეგიონის ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებასა და ეკონომიკის გაძლიერებას. ყოველი ასეთი თანამედროვე სტანდარტის შესაბამისი ობიექტი დამატებითი შესაძლებლობაა როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო ვიზიტორებისთვის იმოგზაურონ საქართველოს კიდევ ერთ რეგიონში და აღმოაჩინონ ახალი ისტორიული ადგილები. მსგავსი მაღალი კლასის სასტუმრო ასევე ხელს შეუწყობს ვიზიტორთა დანახარჯებისა და ღამის თევების რაოდენობის ზრდას, რაც დადებითად აისახება ტურიზმის სექტორის დინამიკაზე. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სასტუმრო 100 ადგილობრივ ადამიანს ასაქმებს, რაც გააძლიერებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას,** – აღნიშნა მარიამ ქვრივიშვილმა.



„გორი ინ“ სასტუმროების მმართველი კომპანია Inn Group-ის ქსელს წარმოადგენს. სასტუმროს მშენებლობაში 20 მილიონ ლარზე მეტის ინვესტიცია განხორციელდა. „ინნ ჯგუფი“ 2015 წელს შეიქმნა და დღეს უკვე 10 კომპანიას აერთიანებს, მათ შორის სასტუმროებს ბაკურიანში, გუდაურსა და ქუთაისში, ასევე საწარმო „ალუტექ ჯორჯიასა და სამშენებლო კომპანია „ინნ დეველოპმენტს“.

# ოცმილიონიანი გზები ოზურგეთში



**„რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა“ და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით, ოზურგეთის 7 ადმინისტრაციულ ერთეულში ვგეგმავთ გზების რეაბილიტაციას და უკვე მზადდება სატენდერო დოკუმენტაცი, ჯამში 12 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯება,** – ამის შესახებ ოზურგეთის მერმა, ავთანდილ თალაკვაძემ განაცხადა. მისი თქმით მიმდინარე წლის თებერვალში, იწყება კოსტავას ქუჩის რეაბილიტაცია და სანიაღვრე სისტემის მოწყობა თაყაიშვილის ქუჩაზე.

**„დაგპირდით, და მუნიციპალური განვითარების ფონდის მხარდაჭერით უკვე ვიწყებთ კოსტავას ქუჩის სრულ რეაბილიტაციას. მოეწყობა გზის საფარი, საფეხმავლო ნაწილი, გამწვანება და თანამედროვე განათება. საავტომობილო გზების დეპარტამენტთან თანამშრომლობით დავიწყეთ ე. თაყაიშვილის ქუჩაზე ყველაზე პრობლემური საკითხის – სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია. ამ ინფრასტრუქტურის გაუმართაობა უამინდობის დროს იწვევდა დატბორვას და პრობლემებს უქმნიდა ქვეითად მოსიარულეებს და მძღოლებს. წინა წლების განმავლობაში ვერ მოხერხდა ასეთი მნიშვნელოვანი პრობლემის მოგვარება, თუმცა ჩვენ დაგპირდით და ვაკეთებთ,“** – აღნიშნა ოზურგეთის მერმა.

ოზურგეთის მერმა მუნიციპალიტეტის სხდომაზე ყურადღება გაამახვილა სოფლის მხარდაჭერის პროგრამაზეც, რომლის ფარგლებში უკვე დაიწყო შეხვედრები.

# ბახმაროს ტურისტული შესაძლებლობები

**ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებით გიდები და მედიის წარმომადგენლები ბახმაროს ტურისტულ შესაძლებლობებს გაეცნენ. ინფოტური გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით გაიმართა,** – ამის შესახებ ინფორმაციას ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, სამთო გამყოლები ადგილზე გაეცნენ, თუ რა შესაძლებლობები აქვს ბახმაროს ექსტრემალური ტურიზმის მოყვარულთათვის, ასევე დაათვალიერეს ბახმაროს ტურისტული ინფრასტრუქტურა, საოჯახო სასტუმროები და კვების ობიექტები. ტურის ფარგლებში გიდებმა და მედიის წარმომადგენლებმა თხილამურებითა და სნოუბორდით ისრიალეს.

ინფოტურის მიზანია ბახმაროში, ზაფხულის გარდა ზამთრის სეზონზე საერთაშორისო და შიდა მოგზაურთა მოზიდვა და კურორტის პოპულარიზაცია.

# კახეთის ავტობანი და მაგისტრალს მიღმა დარჩენილი სოფლები

**თბილისი-გაკურციხე-ლაგოდეხის საავტომობილო გზის შემადგენელი საგარეჯო-ბადიაურის 17 კმ-იანი მონაკვეთის სამშენებლო სამუშაოები იწყება. ამის შესახებ ინფორმაციას საავტომობილო გზების დეპარტამენტი ავრცელებს. საგარეჯო ბადიაურის საავტომობილო გზის მონაკვეთი კახეთის ახალი მაგისტრალური გზის შემადგენელი ნაწილია, რომლის მშენებლობის ხელშეკრულებასაც საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი უახლოეს დღეებში გააფორმებს.**



სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია 2025 წელს დაასრულებს. პროექტი ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება და მისი საერთო ღირებულება 276.7 მილიონი ლარია.

**„ასევე, სამუშაოები მიმდინარეობს ბაკურციხე-წნორის შემოვლით, 16.6 კმ-იან გზაზე, რომელიც გვერდს აუვლის მჭიდროდ დასახლებულ წნორსა და 6 მიმდებარე სოფელს“,** – ნათქვამია ინფორმაციაში.

# ნიკა ნანუაშვილი: ჩვენს ეკონომიკას მაღალკვალიფიციური, მცოდნე კადრები სჭირდება, სანამ ამას მივაღწევთ, უფრო მეტი შრომა მოგვიწევს



**რას ფიქრობს ბიზნესი 40-საათიან სამუშაო კვირაზე, რა გამოწვევების წინაშე დადგება სექტორი და კადრების დეფიციტის პირობებში როგორ გაართმევს თავს ესა თუ ის ბიზნესი სამუშაო დროის კვირაში 40 საათით განსაზღვრას,** – ამ თემაზე რადიო „კომერსანტის“ გადაცემაში, „კომერსანტის დილა“ საქართველოს ბიზნეს ასოციაციის იურიდიულმა დირექტორმა **ნიკა ნანუაშვილმა** ისაუბრა.

მისი თქმით, როდესაც საუბარია იმაზე, რომ ევროკავშირის ქვეყნებში სამუშაო საათების რაოდენობა კვირაში 40 საათით არის განსაზღვრული, გათვალისწინებული უნდა იქნეს დასაქმებულის შრომის პროდუქტიულობაც. ნანუაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ ევროპაში დასაქმებულის მიერ ერთსაათიანი შრომის შედეგად 10-15 ჯერ მეტი ღირებულების პროდუქტი იქმნება ვიდრე ეს საქართველოშია.

**„ჩვენთან ეს მაჩვენებელი 10-15 ჯერ ნაკლებია, აქედან გამომდინარეობს მისი თანმდევი პრობლემაც. 40-საათიან სამუშაო კვირაზე გადაწყობა ბიზნესის მთელ რიგ სექტორებს, რომლებიც სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის მქონე სამსახურების ჩამონათვალში ვერ მოხვდნენ, გაუჭირდება. ამის მიზეზი არაერთგვაროვანია, ერთ-ერთი არგუმენტი არის ის, რომ ბიზნესს ხარჯები გაეზრდება, თუმცა ხარჯების ზრდა პრობლემას ვერ მოაგვარებს.**

**მაგალითისთვის რომ ავიღოთ, სამშენებლო, სტუმარ-მასპინძლობის და საცალო გაყიდვების სექტორი, მათი ხარჯი საშუალოდ 100 მილიონიდან 300 მილიონამდე იქნება, თუმცა ხარჯის ზრდა პრობლემის მოგვარებას არ ნიშნავს, რადგან ჩვენ არ გვყავს ადამიანები, ვინც სხვის ნაცვლად იმუშავებენ, შესაბამისად, რვა საათი დარჩება ცარიელი და ბიზნესს კადრების მოძიება მოუწევს.**

**აღსანიშნავია, რომ კადრების მოძიების პრობლემა ისედაც ძალიან ბევრ ბიზნესს ჰქონდა, აქ არ არის საუბარი მაღალკვალიფიციურ კადრებზე, აქ საუბარია ზოგადად კადრის მოძიებაზე“.**

ნანუაშვილი გამოსავალს არსებული კადრების 48 საათიან რეჟიმზე დასაქმებაში და მათთვის ანაზღაურების გაზრდაში ხედავს, თუმცა შრომის ინსპექცია ერთმნიშვნელოვნად განმარტავს, რომ ადამიანების ზეგანაკვეთური მუშაობა არ შეიძლება ჩვეულებრივი პრაქტიკა იყოს. რაც შეეხება რეგულაციის გადავადებას, ნანუაშვილის თქმით, გამომდინარე იქიდან, რომ შრომის ბაზარზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის დიდი დისბალანსია, რეგულაციის გადავადება პრობლემას მხოლოდ დროებით გადაავადებს და არ მოაგვარებს.

**„ეს რომ მხოლოდ ფინანსურ დანახარჯებთან იყოს დაკავშირებული, გადავადება ეფექტური იქნებოდა, მაგრამ შრომის ბაზარზე კადრები არც ერთი წლის შემდეგ გამოჩნდება და პრობლემა პრობლემად დარჩება.**

**ამიტომ მე ვფიქრობ, რომ რიგ დარგებში სამუშაო დრო კვირაში 48 საათი უნდა დარჩეს, ჩვენ არ ვიქნებით პირველი და ერთადერთი ქვეყანა მსოფლიოში, ვისაც 48 საათიანი სამუშაო კვირა აქვს, ასეა ჩვენი მეზობელი თურქეთიც, იქ ნორმირებული სამუშაო კვირაში 48 საათით არის განსაზღვრული და სწორედ ეს არის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორი იმისა, რომ თურქული ეკონომიკა წინ მიიწევს“,** – აღნიშნა ნიკა ნანუაშვილმა.

გამომდინარე იქიდან, რომ ევროკავშირის ქვეყნებში ერთი ადამიანის მიერ ერთი საათის განმავლობაში შექმნილი ღირებულება 60-80 ევროს შეადგენს, საქართველოში კი ეს მაჩვენებელი გაცილებით ნაკლებია ევროკავშირის ქვეყნებში შეუძლიათ ბევრად ნაკლები იმუშაონ და მასიურად 4-დღიან ან სამდღიან სამუშაო რეჟიმზე გადავიდნენ.

**„ადამიანები ჩვენთანაც ისეთივე სურვილებით არიან, ისეთივე მოტივაცია აქვთ, რომ ნაკლები იმუშაონ და მეტი დაისვენონ, მაგრამ შესაძლებლობები გვაქვს სხვადასხვა. ჩვენთან დაბალ პროდუქტიულობას დაბალი კვალიფიკაცია განაპირობებს, ეს არ არის სიახლე, დაბალპროდუქტიულობას განაპირობებს ნაკლები ტექნოლოგიები და ბევრი სხვა ფაქტორი, რაც საერთო ჯამში მიზეზი და საფუძველია ყველა ზედნაშენი პრობლემისა.**

**თუ ჩვენთან შრომის პროდუქტიულობა ერთ საათში 70 დოლარი იქნება, შეგვიძლია თამამად გადავიდეთ სამდღიან სამუშაო კვირაზე.**

**ჩვენს ეკონომიკას დღეს მაღალკვალიფიციური დასაქმებული და პროდუქტიული შრომა სჭირდება და სანამ ჩვენ ამ ორ ამოცანას არ მივაღწევთ, დიახ, უფრო მეტი შრომა მოგვიწევს“,** – აღნიშნა ნიკა ნანუაშვილმა.

2023 წლის ბოლოს სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის მქონე დარგების ახალი ჩამონათვალი გამოქვეყნდა. მთავრობამ ცვლილება გასული წლის 26 დეკემბერს დაამტკიცა, რითაც სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის მქონე დარგების ნუსხა შემცირდა, კერძოდ ამ სამუშაო რეჟიმის მქონე დარგების ჩამონათვალში აღარ გვხდება ისეთი სამუშაოები როგორიც არის მშენებლობა, ტექსტილი და ტექსტილის წარმოება, ამ ახალი დადგენილების მიხედვით ამ სექტორებისთვის 40-საათიანი სამუშაო კვირა განისაზღვრა.

**თაკო კვაჭანტირაძე**



# „ნაციონალური მოძრაობა“ ისტორიას ბარდება!

**არ ვიცი, ედუარდ „ამბროსიევიჩს“ ვინ ურჩია, სთხოვა თუ დაავალა სააკაშვილის ქართულ პოლიტიკურ სივრცეში „ჩანერგვა“, ფაქტია, გამოჩენისთანავე „მოქკავშირელთა“ ახალგაზრდა ლიდერი მედიის ყურადღების ცენტრში მოექცა. იმასაც კი გვამცნობდნენ, თუ რომელ კაფეში დადიოდა, ვისთან ერთად და რამდენ ჭიქა წვენს სვამდა... სულ მალე, „რევოლუციური რეფორმების“ ავტორი საზღვარგარეთიდან დაფინანსებულმა („რეიტინგულმა“) არასამთავრობო ორგანიზაციებმა „წლის ადამიანად“ აღიარეს, რის შემდეგაც „ოპოზიციაში მივლინებულმა“ შევარდნაძის ჩაიც დალია და მისი კაბინეტიც დაიკავა...**

## „სააკაშვილის პარტიას“ სახელისა და დროშის შეცვლას ურჩევენ...




მიუხედავად იმისა, რომ აღარც პრეზიდენტია და აღარც საქართველოს მოქალაქე, საინფორმაციო გადაცემებში ისევ მიშას და მისი პარტიის თემა დომინირებს... როგორც ჩანს, ქართულ „პოლარიზებულ“ პოლიტიკურ ელიტასაც და საზოგადოებასაც, ისევ ერთნაირად აინტერესებთ, თუ რით იკვებება სააკაშვილი, მორიგ „მეორე ნახევრად“ ვის აირჩევს და ვის აირჩევენ მისი თანაპარტიელები ლიდერად, მიუხედავად იმისა, რომ „დინამოს“ სტადიონსაც კი ვეღარ ავსებენ... ცხადია, გამორიცხული არ არის, მესამე პრეზიდენტის (მსოფლიოში ყველაზე ენერგიული „მომაკვდავის“...) პირად ცხოვრებაში მორიგი „მესამე“ გამოჩნდეს (მაგ., ვიზიტორებიდან ან სამედიცინო პერსონალიდან...), მაგრამ მის მიერ დაარსებული პარტიის მესამე თავმჯდომარის ვინაობა უკვე ცნობილია.

ვინაიდან „რევოლუცია“, „კანონით შეუზღუდავი ძალაუფლებაა“, ლოგიკურია „ნაცებს“ მესვეურად ის კანდიდატი აერჩიათ, რომელიც „მიხეილ აღმაშენებლის“ (მისმა მხარდამჭერებმა საჯაროდ ასეთი პლაკატიც გამოჰფინეს...) ციხიდან „შტურმით“ დახსნას დაჰპირდებოდა... მით უმეტეს, რომ ძირითადი კონკურენტისგან განსხვავებით, რომელსაც მაგისტრის აკადემიური ხარისხი ოქსფორდში მიენიჭა, ერთ-ერთ „არასამთავრობო ორგანიზაციასთან არსებული უნივერსიტეტი“ ჰქონდა დამთავრებული და წინასაარჩევნო ლოზუნგადაც „სწავლა, სწავლა და სწავლის!“ ნაცვლად, „მოძრაობა, მოძრაობა და ისევ მოძრაობა!“ ჰქონდა არჩეული ...

ვინაიდან „მიშა მაგარია!“ განსასჯელის სკამზე სწორედ იმ ხუთჯვრიანი დროშის წინ აღმოჩნდა, რომელსაც თავისივე „შემოტანილად“ თვლის... (ერთ-ერთი სხდომის დაწყებისას განაცხადა კიდეც „ესეც ჩემი გაკეთებულიაო...“), საზოგადოებას მინდა შევახსენო, რომ „ნაცმოძრაობას“ ჯერ კიდევ ორი წლის წინ შევთავაზე სახელისა და სიმბოლიკის შეცვლა. მანამდე ე. წ. რებრენდინგი თავად უცდიათ... ერთ-ერთ ყრილობაზე სააკაშვილი გამოსულა პარტიულ დროშაზე მცირე ჯვრების ნაცვლად გულების გამოსახვის ინიციტივით, ხოლო 2019 წელს ახალი ლოგოს შექმნის მიზნით კონკურსი გამოუცხადებიათ.

**თუ „ნაცმოძრაობას“ ისევ მხოლოდ „საფრთხობელას“ ფუნქციის შესრულება არ ევალება (ანუ, მომავალ საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვების უზრუნველყოფა...), პოლიტიკაში დასარჩენად, ვურჩევდი, პარტიის სრული რებრენდინგი, როგორც მიშა იტყოდა: „რევოლუციური რეფორმა“ განეხორციელებინა და, პირველ რიგში, სახელი და დროშა შეეცვალა...**

ფაქტია, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის თანახმად, „ნაცია“ ერს ნიშნავს („ნაციონალური“ იგივეა, რაც „ეროვნული“...), ხოლო თავად სიტყვა რუსულიდან („нация“) დამკვიდრებულა. ძირითადად კი სტალინი იყენებდა (ქართულად გამოცემული მის ნაშრომში „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“ ერთი თავი „ნაციონალური მოძრაობაა“...). ამასთან, „ ნაციონალიზმი“ განიმარტება, როგორც „რეაქციული ბურჟუაზიული იდეოლოგია და პოლიტიკა, რომელიც „ნაციონალური ერთიანობის“ ლოზუნგით ამოფარებული, იცავს ეროვნული ბურჟუაზიის ინტერესებს, აღვივებს ერთა შორის მტრობას და ამართლებს ერთი ერის მიერ მეორის ჩაგვრას“.

ისიც ცნობილია, რომ ფრანგულად „nationalite“, ეროვნებასა და ეროვნულობასთან ერთად, „მოქალაქეობასაც“ ნიშნავს, ხოლო ფრანგულ პასპორტშიც, ერთმნიშვნელოვნად, სახელმწიფოსთან კავშირს აღნიშნავს. შესაბამისად, საფრანგეთში, შესაძლებელია „ერთიან ნაციონალურ (ანუ სამოქალაქო) მოძრაობაში“ ფრანგებთან ერთად, იტალიელები, ესპანელები და მაროკოელებიც კი გაერთიანდნენ, მაგრამ, ძნელი დასაჯერებელია, „ერთიან ნაციონალურ (ანუ ეროვნულ) მოძრაობაში“ საქართველოში მცხოვრები, მაგ., აზერბაიჯანელები, სომხები, აფსუები ან ოსები საკუთარი ნებით გაწევრიანდნენ, თუ მათ სწორად განუმარტეს ამ პოლიტიკური გაერთიანების დასახელების არსი, ვინაიდან მათი „ეროვნული ინტერესები“, შესაძლებელია, არ იყოს იდენტური...

ამდენად, ლოგიკური იქნება ახალი ლიდერის არჩევის შემდეგ, ენმ მიზნების თაობაზეც მკაფიოდ ჩამოყალიბდეს და თუ მხოლოდ ქართველების ინტერესების დაცვას აპირებს, ლოგიკურია, დასახელებაში უცხოური წარმომავლობის სიტყვა „ეროვნულით“ ჩაანაცვლოს, ხოლო, საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნების მოქალაქის ერთიან პოლიტიკურ პლატფორმაზე გასაერთიანებლად, უმჯობესი იქნება, „ერთიანი სამოქალაქო მოძრაობა“ („ესმ“) დაირქვას.

**შესაძლებელია, მესვეურებმა „რევოლუციურ“ პარტიას სხვა დასახელებაც შეურჩიონ, მაგრამ ვურჩევ მასში სიტყვა „ნაციონალური“ აღარ გამოიყენონ, მით უმეტეს, „ნაცი“ შოთა რუსთაველსაც მეტად უარყოფით კონტექსტში აქვს გამოყენებული („კაცსა დასვრის უგულობა და დიაცსა – გოზი ნაცი“...) , ხოლო სულხან-საბას ლექსიკონში „ნაცის“ განმარტების „გასაპაროებისგან“, თავს შევიკავებ...**

ხუთჯვრიანი პარტიული სიმბოლო, თუნდაც იმიტომ უნდა შეიცვალოს, რომ, ფაქტობრივად, იმ „სახელმწიფო (ეროვნულ) დროშას“ იმეორებს, რომლის არც წარმომავლობა (პარტიულია, რელიგიური თუ ისტორიული...) და არც შინაარსი (სემანტიკა) არ იცის მოქალაქეების აბსოლუტურმა უმრავლესობამ (თუმცა, ნებისმიერს შეუძლია ინტერნეტში „TEMPLAR FLAG“ ნახოს...) და არც იმის თაობაზე აქვთ წარმოდგენა, რომ კანონმდებლობის (ორგანული კანონის ნაცვლად, იმავე სააკაშვილის ბრძანებულების...) თანახმად, სახელმწიფო დროშაზე ცენტრალური ჯვრის ტოტის სიგანე დროშის სიგანის 1/5-ს უნდა შეადგენდეს, ხოლო „ნაცმოძრაობის“ დროშაზე ეს ჯვარი გაცილებით ვიწრო ზოლებიანია...

ფაქტია, რომ ხუთჯვრიანი კომპოზიციის „ნაცების“ სიმბოლოდ აღქმის გამო, რეალურად ოპოზიციურად განწყობილ პარტიებს „სახელმწიფო (ფაქტობრივად, მიშას...) დროშა“ საპროტესტო აქციებზეც კი არ გამოაქვთ, ხოლო „ხუთჯვრიანის“ თაობაზე მეცნიერებისთვის დანამდვილებით მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ „თეთრ ფონზე გამოსახული ხუთი ჯვარი კათოლიკური სამყაროს ინტეგრაციული სიმბოლოა და ის ჯვაროსნულ ეპოქაში შეიქმნა“ (თედო დუნდუა, „ძელი ცხოვრებისა და მისი ვარიანტები“, თბილისი, 2000), ხოლო შუასაუკუნეების დროინდელ საზღვაო რუკებზე 10-მდე ქეყანაში კათოლიკური მისიების ადგილსამყოფელია მითითებული...

**შესაბამისად, ვინაიდან დასახელება, ფაქტობრივად, „ბოლშევიკურ-სტალინური“ აქვთ აღებული, ხოლო დროშა „ჟიდო-მასონური“, „ნაციონალური მოძრაობის“ მესვეურებს ვურჩევდი რებრენდინგი დროულად განახორციელონ, რითაც, გარკვეულწილად, მის ყოფილ ლიდერთან ასოცირებული დესტრუქციული ქმედებისგანაც დისტანცირდებიან, რაც მათ რიგებში გაცილებით მეტ მოქალაქეს მიიზიდავს. ფაქტია, რომ ამორჩეველთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ იცის, რომ სააკაშვილის თაოსნობით დაიწყო მიწის გაყიდვა, ნაუცბათევად იქნა მიღებული კოდექსები (განსაკუთრებით სისხლის სამართლის საპროცესო, რომელიც პოლიცია-პროკურატურის ინტერესებს მოერგო), გატარდა გაუაზრებელი სამართლებრივი რეფორმა და განხორციელდა მოსამართლეების „ჩოქბჯენში გადაყვანა“ (მინდია უგრეხელიძის სიტყვებია), ხოლო „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, განხორციელდა კონსტიტუციისა და სახელმწიფო სიმბოლოკის თვითნებური შეცვლა, კანონმდებლობის პარტიულ ინტერესებზე მორგება, პირველი ქართული უნივერსიტეტისა და მეცნიერებათა აკადემიის დაშლა, განათლების სისტემის დანგრევა, პროფესურის „ჩარეცხვა“, ძალადობა ლექტორებსა და სტუდენტებზე, მეწარმეების „დატერორება“ (ქონების გადანაწილება), ელიტური კორუფციის აყვავება, ელექტრონულ მედიაზე ცენზურის დამყარება, ფარული მოსმენების დანერგვა, პოლიტიკური ოპონენტებისა და ახალგაზრდების ქუჩაში დახვრეტა, პატიმრების წამება, ტერიტორიების დაკარგვა...**

**მეც ვთვლი, რომ „ნაცმოძრაობის“ მმართველობის პერიოდში საქართველოში, ფაქტობრივად, კარიკატურული ტიპის პლუტოკრატიული ტირანია (ტყუილებზე, ძალადობასა და თვითნებობაზე დაფუძნებული რეჟიმი) დამკვიდრდა, რამაც „ქართული ოცნების“ მესვეურებსაც მისცა საფუძველი, განეცხადებინათ, რომ „ტყუილებსა და ძალადობაზე დაფუძნებული რეჟიმი დაამარცხეს...“**

კარგი იქნება, თუ ენმ სახელისა და დროშის შეცვლის თაობაზე გამოკითხვასაც ელექტრონული წესით ჩაატარებენ, ხოლო თუ მონაწილეთა უმრავლესობა პარტიის დასახელებისა და სიმბოლოს შეცვლის წინააღმდეგი წავა, გონივრული იქნება, ნიკა მელიამ მხარდამჭერებთან ერთად, თვითონ შექმნას ახალი პოლიტიკური გაერთიანება (მაგ. „ერთიანი სამოქალაქო მოძრაობა“ ან „ერთობა“), რომელშიც „ნაცების“ პროგრესული (ინტელექტუალური) ნაწილი გაწევრიანდება, ხოლო მომავალ საპარლამენტო არჩევნებამდე, „ნაცმოძრაობასთან“ ასოცირებული ე. წ. პროევროპულად განწყობილი ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები შეერწყმებიან (მაგ. „ლელო“, „ევროპული საქართველო“, „ევროპული დემოკრატები“ „სტრატეგია აღმაშენებელი“, „გირჩი“ და სხვა... ).

წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლებლად მიმაჩნია, რომ მელიას „ სამოქალაქო მოძრაობამ“ ოპოზიციური პოლიტიკური ძალების ერთიან საარჩევნო ბლოკად (კოალიციად) გაერთიანებაც მოახერხოს (როგორც 2020 წლის არჩევნებისას), რომელსაც კოლეგიური ორგანო უხელმძღვანელებს, ხოლო ლიდერი შიდა არჩევნებით გამოიკვეთება, რაც საშუალებას მისცემთ, ფინანსური რესურსებიც უფრო ეფექტურად გამოიყენონ და პარლამენტში მანდატების მაქსიმალური რაოდენობა მოიპოვონ.

შესაბამისად, დღევანდელი „ნაცმოძრაობა“ (ფაქტობრივად, ამომრჩეველთა მხოლოდ 0.5 % უჭერს მხარს...) ხაზეიშვილის ხელმძღვანელობით დაასრულებს „მოღვაწეობას“, ისევე როგორც ის პარტია („მოქალაქეთა კავშირი“) გაქრა, რომლის წიაღშიც იშვა...

ვფიქრობ, ნიკა მელიას ცხოვრებაში დადგა ის ეტაპი, როდესაც ასაკიდან, კვალიფიკაციიდან და გამოცდილებიდან გამომდინარე, სხვისი ჩრდილიდან უნდა გამოვიდეს და საკუთარი პოლიტიკური კარიერა შეიქმნას (მით უმეტეს, რომ ამ გზას მრავალი მისი თანაპარტიელი დაადგა...)

თუ გავითვალისწინებთ, რომ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ფაქტობრივად, ყოველი ათწლეული საქართველოში ხელისუფლების „გადაბარებით“ იწყება („მოქკავშირელები“, „ნაციონალები“, „მეოცნებეები“...), თუმცა, „პოლიტიკური ელიტა“ (მათ შორის, ოპოზიციური...), ფაქტობრივად, იგივე რჩება (ძირითადად, ყოფილი „მოქკავშირელები“ ან მათი „მემკვიდრეები“ არიან წარმოდგენილები...), როგორც ჩანს, მომავალ პარლამენტშიც ე. წ. ძველი სახეები ახალი პოლიტიკური სუბიექტების პარტიული სიებით მოხვდებიან... მაღალი ალბათობით, ერთ მხარეს „გახარიას ბლოკი“ იქნება (რომელიც დღევანდელი ხელისუფლების მხარდამჭერებსაც გააერთიანებს...), მეორე მხარეს ე. წ. პროევროპული „ერთობა“ (როგორც აშშ-ის კონგრესში, დეპუტატები, ძირითადად, „დემოკრატებად“ და „რესპუბლიკელებად“ დაიყოფიან...). ამასთან, ვინ იქნება საკანონმდებლო ორგანოში დომინანტი ან რა მასშტაბით იქნება წარმოდგენილი „მელიას გუნდი“, სწორედ იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად გაითვალისწინებს მისდამი კეთილგანწყობილი მოქალაქის რჩევებს და საქმიანობის პრიორიტეტებსაც...

**ავთანდილ კახნიაშვილი,**
**სამართლის დოქტორი**



ნიუ-იორკის საცხედრეში 1964 წელს გაკვეთის დაწყებისას „გვამი გონს მოვიდა და ყელში სწვდა პათანატომს, რომელსაც იქვე გული გაუსკდა“...

სცდების და სცდების, სიკვდილსა ვინც არ მოელის წამისად...
შოთა რუსთველი

# საჭიროა თუ არა თბილისში კრემატორიუმის გახსნა?!

**დიდი რომაელი ფილოსოფოსი სენეკა, რომელიც ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნეში მოღვაწეობდა, აღნიშნავდა: სიკვდილი არ არსებობს დიდი ან პატარა: ყველასთვის იგი სიცოცხლის დასასრულია. ადამიანმა ეს სიბრძნე განვითარების გარკვეულ ეტაპზე შეიცნო და თავისი სამუდამო განსასვენებლის მოწყობაზეც დაიწყო ზრუნვა. მრავალი წელი დასჭირდა დაკრძალვის სხვადასხვა წესის შემუშავებას.**

წერილობითი ცნობების მიხედვით, იტალიაში დაკრძალვის წესის გაბატონებული ფორმა იყო მიწაში გვამის დამარხვა, ისე როგორც ძველ საბერძნეთში, თუმცა ასევე ფართოდ იყო გავრცელებული სხეულის კოცონზე დაწვა. აღნიშნავენ, რომ რომაელები უპირატესობას გარდაცვლილის კოცონზე დაწვას ანიჭებდნენ. ერთ-ერთ უძველეს წერილობით ძეგლში (V საუკუნე ჩვ.წ.ა.-მდე) აღნიშნულია როგორც გვამის დამარხვის, ისე კოცონზე დაწვის შესახებ. სხეულის კოცონზე დაწვის შემდეგ კოცონს წყალით ან ღვინით აქრობდნენ, ძვლებსა და ფერფლს კი ურნაში ათავსებდნენ. შემდეგ განსვენებულის სახლში სულის მოსახსენიებლად, მაგალითად, საბერძნეთში ქელეხს აწყობდნენ. სტუმრებს თავი გვირგვინით ჰქონდათ შემკული. განსვენებულის პატივსაცემად წარმოთქვამდნენ საქებარ სიტყვებს. საერთოდ, დამწვარ ნეშტს ინახავდნენ ან წყალს ატანდნენ, ურნებში ათავსებდნენ ან მიწაში მარხავდნენ.

**სხვადასხვა რეგიონსა და ხალხში უძველესი დროიდან დასაფლავების სხვადასხვა წესი იყო გავრცელებული. ძველი წელთაღრიცხვის V საუკუნის დიდი ბერძენი ისტორიკოსის, „ისტორიის მამამთავრად“ წოდებული ჰეროდოტეს თხზულებაში „ისტორია“ მასაგეტების ტომში (ეს ტომი ცხოვრობდა კასპიისა და არალის ზღვებს შორის) გავრცელებული ჩვეულების თანახმად, „როდესაც ძალიან მოხუცდება კაცი, ყველა მისი ნათესავი მოიყრის თავს ერთად, დაჰკლავენ მოხუცს და მასთან ერთად სხვა საქონელსაც, ხოლო ავადმყოფობით მკვდარს კი არ ჭამენ, არამედ მარხავენ და უბედურად თვლიან, რომ არ მოუწია მას დაკვლა“ (ჰეროდოტე. ისტორია, ტ. I, გვ. 116). ჰეროდოტეს ცნობით, სპარსელი კაცის გვამი მანამდე არ დაიმარხება, ვიდრე ფრინველი ან ძაღლი არ დაგლეჯს მას.**

წერილობით ცნობებზე გაცილებით ადრე არქეოლოგიური აღმოჩენები ადასტურებს, რომ უძველესი დროიდან დაკრძალვის სახეობებს შორის მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში ფართოდ იყო გავრცელებული გვამის დაწვა. ევროპაში, უპირველეს ყოვლისა, ბერძენ, რომაელ და სლავ ხალხებში გვიანდელი ნეოლითის, ანუ ახალი ქვის ხანაში, რომელიც წარმოადგენს ქვის ხანის ბოლო საფეხურს. უძველესი დროიდან იყო გავრცელებული გვამის დაწვა სამხრეთ ქვეყნებში, ბუდიზმისა და ინდუიზმის მიმდევარ მოსახლეობაში.

ჩვენს შორეულ წინაპრებშიც ფართოდ იყო გავრცელებული გვამის დაწვა. როგორც არქეოლოგიური მონაცემები გვიდასტურებენ, ძველი წელთაღრიცხვის მესამე ათასწლეულში სამგორის ერთ-ერთ სამარხში და ძვ.წ. XX-XV საუკუნეებში, თრიალეთში, ამ წესით მაღალი სოციალური წრის წარმომადგენლებია დაკრძალული. ასევე დადასტურებულია კრემაცია ადრინდელი ბრინჯაოს ხანის თრელის სამაროვანში II ათასწლეულის შუა ხანებში. თრელის სამაროვანი მდებარეობს დიღმის მასივში. რკინის ხანაში საქართველოში უკვე მასობრივად არის გავრცელებული კრემაციული სამარხები სვანეთში, მთიან რაჭაში, აფხაზეთში, სამეგრელოში, გურიაში და სხვ.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ევროპის ქვეყნებში დაიწყეს მიცვალებულის დაწვა. კრემატორიუმი აშენდა მილანში (1876 წელს), ლონდონში (1885 წელს), სტოკჰოლმში (1887 წელს) და სხვა ქალაქებში. საბჭოთა კავშირში პირველი კრემატორიუმი მოსკოვში 1927 წელს გაიხსნა. მეოცე საუკუნის 20-იანი წლებიდან, როგორც ენციკლოპედიებშია აღნიშნული, კრემაცია დაკრძალვის ყველაზე ჰიგიენური წესია და გავრცელდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. ამჟამად ევროპის დიდ ქალაქებში თითქმის ყველგან ფუნქციონირებს კრემატორიუმი.




საბჭოთა კავშირის დროინდელი კრემატორიუმი თბილისის მუხათგვერდის სასაფლაოზე.

* * *

**ჯერ კიდევ უძველეს დროში, იცოდნენ ლეთარგიის, ღრმა ძილის მსგავსი ავადმყოფობის შესახებ, რომლისთვისაც დამახასიათებელია უმოქმედობა, გარე გამღიზიანებლებზე რეაქციის უქონლობა, ყველა სასიცოცხლო ნიშნის უაღრესად დაქვეითება, რომლის დროსაც არ არის გამორიცხული შეცდომით ცოცხალი ადამიანის დაკრძალვა. ამ ავადმყოფობის ქართული ხალხური სახელწოდებაა საღათას ძილი. ლეთარგია გვხვდება იშვიათად ისტერიის, საერთო დაუძლურების დროს, ძლიერი მღელვარების შემდეგ და იგი შეიძლება რამდენიმე საათს ან რამდენიმე დღეს გაგრძელდეს. ამ მოვლენის შესახებ ლიტერატურაში უძველესი დროიდან არის ცნობილი. მაგალითად, ჩვენს წელთაღრიცხვამდე I საუკუნეში საბერძნეთის ცნობილმა მკურნალმა ასკლეპიადმა განსაკუთრებით მას შემდეგ მოიპოვა დიდება, რაც ერთხელ შეხვდა სამგლოვიარო პროცესიას და გადაარჩინა ადამიანი კოცონზე დაწვას – ასკლეპიადმა, როგორც გამოცდილმა მკურნალმა, მაშინვე შეატყო კოცონზე დასაწვავად გამზადებულ ადამიანს ლეთარგიულ ძილში ყოფნა.**

ამჟამად სამედიცინო ლიტერატურაში ფართოდ განიხილება სასიცოცხლო თერაპიაზე უარის თქმის როგორც იურიდიული, ისე ზნეობრივი ასპექტები. არც ისე იშვიათად გვხვდება შემთხვევები, როდესაც პაციენტს დაკარგული აქვს ფუნქციური აქტივობა და განუწყვეტლივ კომატოზურ მდგომარეობაში იმყოფება ან პაციენტს შენარჩუნებული აქვს ფუნქციური აქტივობა (სუნთქვა და გულის მოქმედება), მაგრამ სამაგიეროდ დაკარგული აქვს ცნობიერება, რომლის აღდგენა შეუძლებელი ხდება. ამგვარი ავადმყოფი შეიძლება დიდი ხნის განმავლობაში იყოს ასეთ მდგომარეობაში (სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე). ცნობილი პროფესორის, ნეტარსახსენებელი დავით გეგეშიძის რედაქციით გამოცემულ სახელმძღვანელოში „ბიოეთიკა“, რომელიც ისწავლება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, აღნიშნულია, რომ „შეიძლება თუ არა ეს პაციენტები ჩაითვალონ ცოცხლებად? ისტორიამ მრავალი მაგალითი იცის, როდესაც თითქოს მკვდარი ადამიანი „გაცოცხლებულა“, მათგან ყველაზე ცნობილია პოეტ პეტრარკას შემთხვევა, რომელიც საკუთარ გასვენებამდე რამდენიმე საათით ადრე წამოდგა კუბოდან და შემდეგ 30 წელიწადი იცოცხლა. XX საუკუნეში მომხდარი ფაქტი: **ნიუ-იორკის საცხედრეში 1964 წელს გაკვეთის დაწყებისას „გვამი გონს მოვიდა და ყელში სწვდა პათანატომს, რომელსაც იქვე გული გაუსკდა“...**

XX საუკუნის დამდეგს ინგლისელმა მეცნიერებმა განხორციელებული კვლევის შედეგად გამოიტანეს დასკვნა, რომ ინგლისში ყოველწლიურად ცოცხლად დაახლოებით 2,5 ათას კაცს მარხავენ, ამის მიუხედავად მხოლოდ 60-იანი წლების დამლევს შეიქმნა ლონდონში პირველი აპარატი, რომელიც გულის სუსტ ელექტრონულ აქტივობას ადასტურებს. პირველივე გამოცდის დროს საცხედრეში დაწყობილ გვამებს შორის აღმოჩნდა ცოცხალი ქალიშვილი“ (ბიოეთიკა, გვ. 146).

ცნობილია ცოცხლად დამარხვის სხვა შემთხვევებიც. მაგალითად, ბიზანტიის იმპერატორ ზენონ ისავრიელის მეუღლემ, რომელიც აღვირახსნილ ცხოვრებას ეწეოდა, ეპილეფსიის შედეგად უგონოდ მყოფი იმპერატორი გამიზნულად ცოცხლად დამარხა.

* * *

**ქალაქ თბილისში და მასში შემავალ 4 დაბაში, 2 თემსა და 22 სოფელში 56 სასაფლაოა და მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა 4 პანთეონი: მთაწმინდის, დიდუბის, ხოჯევანქის (სომხური) და მახათას ახალი პანთეონი. მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მონაცემების თანახმად, თბილისში 1 108 717 კაცი ცხოვრობდა, რომელშიდაც შედიოდა ადმინისტრაციულად თბილისში შემავალი დაბების, თემებისა და სოფლების მოსახლეობაც – 46 427 კაცი (4 პროცენტი). ქალაქ თბილისში საქალაქო სასაფლაოები დაყოფილია ხუთ ზონად. ფასები განსხვავებულია ზონებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით. ყველაზე ძვირი საფლავები მდებარეობს პირველ ზონაში. მეხუთე ზონაში ერთ და ორადგილიანი საფლავები უფასოა და ჭირისუფალს გადასახდელი აქვს მხოლოდ მესაფლავის მომსახურება. ქალაქის ცენტრში არსებული სასაფლაოები გადავსებულია და ხშირად მიცვალებულს ხევებში, მიუდგომელ ადგილებშიც კი მარხავენ. ოჯახის საგვარეულო სამარხებიც თითქმის შევსებულია. კანონით საგვარეულო სამარხში მიცვალებულის ნეშტზე ნებადართულია მეორადი დაკრძალვა, მინიმუმ 15 წლის გასვლის შემდეგ, მაგრამ ამ წესით შედარებით იშვიათად სარგებლობენ.**

ქალაქ თბილისში 25 კერძო სასაფლაოც არის, სადაც საფლავის ფასს მიწის ნაკვეთის მესაკუთრე განსაზღვრავს და ისეთი მაღალი ფასებია, „სუსტსა და ძალგულოვანს“ სიკვდილიც ვერ ასწორებს.

ამ მხრივ საინტერესოა შემდეგი უძველესი ისტორიული ფაქტი. ცნობილი მეცნიერი სემუელ კრამერი, რომელიც ეყრდნობა ოთხნახევარი ათასი წლის წინათ შუმერის ქალაქ-სახელმწიფო ლაგაშში მცხოვრებ ისტორიკოსს, რომელსაც ყველაფერი საკუთარი თვალით ჰქონდა ნანახი, აღნიშნავს: ლაგაშში უამრავი გადასახადი არსებობდა. „სიკვდილიც კი არ ათავისუფლებდა მოქალაქეებს სხვადასხვა სახის გადასახადისაგან. მოქალაქეებს რომ სასაფლაოზე მიასვენებდნენ, იქ უკვე იცდიდა ათასი ჯურის მოხელე და მუქთამჭამელი, რათა მიცვალებულის ნათესაობისთვის რაც შეიძლება მეტი ხორბალი, ქერი, ლუდი, აგრეთვე სხვადასხვა საოჯახო ნივთები გამოეძალათ“ (სემიუელ ნ. კრამერი. ისტორია იწყება შუმერიდან. 1988, გვ. 60).

ახლა იმის შესახებაც უნდა აღვნიშნოთ, რომ 1990-2021 წლებში, 32 წლის განმავლობაში, თბილისში გარდაიცვალა 413 492 კაცი, ანუ ამ პერიოდში მთელ საქართველოში გარდაცვლილთა (1 597 405 კაცი) 25,9 პროცენტი. არსებული სტანდარტებით, ერთი სამარხის ფართობი 2,2 კვადრატული მეტრია. ამის გარდა, სამარხის წინ გასასვლელი 50 სანტიმეტრი უნდა იყოს, ხოლო ქვემოთ ახალი სამარხი დაშორებული უნდა იყოს ერთი მეტრით. საოჯახო საფლავებს შორის მანძილი 50 სანტიმეტრია. სასაფლაოზე საკმაო ფართობს იკავებს შიდა გზები და სხვ. თუ ყოველივე ამას მხედველობაში მივიღებთ, მაშინ 32 წელიწადში თბილისში გარდაცვლილი 413 492 კაცის სამარხის ფართობი 2 067 460 კვადრატულ მეტრს, ანუ 2,2 კვადრატულ კილომეტრს უდრის, სულ კი დაახლოებით 3 კვადრატულ კილომეტრზე მეტს ოჯახურ სამარხებში თავისუფალი მიწის ჩათვლით. ქალაქის ცენტრალურ ნაწილში ახალი სასაფლაოების მოწყობა შეუძლებელია – ცარიელი მიწის გამონახვა ამის საშუალებას არ იძლევა. საერთოდ დიდ, ხალხმრავალ ქალაქებში დასაფლავების პრობლემა მეტად რთულია. მაგალითად, მოსკოვში, სადაც 12 მილიონი კაცი ცხოვრობს, ახალი სასაფლაოები ძალიან შორსაა და ზოგჯერ 3-4 საათს მგზავრობენ მატარებლით ახლობლის საფლავზე მისასვლელად. მომავალში თბილისში გარდაცვლილთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზრდება სოფლიდან ქალაქად მიგრაციის შედეგად. თბილისში და საერთოდ ქალაქებში უკანასკნელ პერიოდში შობადობის დონე უფრო მაღალია, ვიდრე სოფლად, მაშინ როდესაც ადრე პირუკუ მოვლენას ჰქონდა ადგილი. საინტერესოა შემდეგი გაანგარიშებაც: 1990-2021 წლებში, ისევ 32 წელიწადში, საქართველოში 1748715 ბავშვი დაიბადა, ხოლო თბილისში – 485 643, ანუ ქვეყანაში მთლიანად დაბადებულთა 27,8 პროცენტი. პირველ ათწლეულში, 1990-1999 წლებში, ეს მაჩვენებელი 22,8 პროცენტს უდრიდა, ხოლო ბოლო ათწლეულში, 2010-2019 წლებში – 30,6 პროცენტს. რა თქმა უნდა, თბილისში მოკვდაობის აბსოლუტური მაჩვენებელი შემდეგ წლებში გაიზრდება. მართლაც, ორ წელიწადში, 2020-2021 წლებში, თბილისში დაბადებულთა რაოდენობამ ქვეყანაში დაბადებულთა 32,8 პროცენტი შეადგინა.



ზემოაღნიშნულს თუ ყოველმხრივ გავითვალისწინებთ, თბილისში კრემატორიუმის გახსნაზეც შეიძლება ვიფიქროთ. საჭიროა ეს პრობლემა თბილისის მერიის მსჯელობის საგანი გახდეს. უპირველეს ყოვლისა, ამ საკითხზე საჭიროა საზოგადოებრივი აზრის შესწავლა და გარკვეულწილად დადებითი აზრის შემთხვევაში მერიამ თბილისში კრემატორიუმის გახსნაზეც უნდა იზრუნოს!...

**ანზორ თოთაძე**

**P.S.** თბილისში იყო კრემატორიუმი მუხათგვერდში, მაგრამ იქ მხოლოდ შინაურ ცხოველებს წვავდნენ. იგი 30 წლის წინათ დაიხურა. ამჟამად გვამის დაწვას ახლობლები, სურვილის შემთხვევაში, ძალაძ როსტოვში ახდენენ (ჩინელები, რუსები, უკრაინელები, ტურისტები, რომლებიც საქართველოში იღუპებიან და სხვ.) გარდაცვლილი თბილისიდან თვითმფრინავით გადააქვთ როსტოვში და ფერფლს ურნით თბილისში ამანათით ღებულობენ.

# ორბანი მხოლოდ საკუთარ ქვეყანაზე ფიქრობს!



**ახალი ამბავი არ არის, რომ უნგრეთის პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ორბანი ევროკავშირისთვის დამახასიათებელ ლიბერალურ განწყობებს ღიად ეწინააღმდეგება, რაზეც ევროკავშირსა და ორბანს მუდმივი კამათი აქვთ. მისი ხედვები იდეოლოგიისგან თავისუფალი და პრაგმატულია.**

მისთვის, როგორც რეალპოლიტიკის გამტარებელი პოლიტიკური მოღვაწისთვის, მისი ერის ინტერესები ყველაზე და ყველაფერზე მაღლა დგას. სხვა ევროსკეპტიკოსთა მსგავსად, ორბანი ვერ ეგუება ბრიუსელის დიქტატს. მისთვის მისაბაძი მაგალითია ისრაელი, როგორც კონსერვატული პრაგმატული პოლიტიკის გამტარებელი ქვეყანა.

ორბანი რუსეთის მიმართ სანქციებს იმიტომ კი არ გაურბის, რომ რუსეთი უყვარს, არამედ, იმიტომ რომ, ფიქრობს, მისი ქვეყნისთვის ასე სჯობს, მაგრამ მოხდა ისე, რომ უკრაინის ომმა და სანქციებმა რუსეთთან სავაჭრო ენერგო-ექსპორტის ჯაჭვი გაწყვიტა, რამაც უნგრეთში ენერგეტიკული და ეკონომიკური კრიზისი გამოიწვია. ამიტომ, ახლა, ორბანი ვაჭრობისა და ენერგორესურსების მოპოვების ახალი გზების ძიებაშია. სწორედ, ამ მიზანს ემსახურებოდა ორბანისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტის, ილხამ ალიევის შეხვედრა. უნგრეთის პრემიერმა, ვიქტორ ორბანმა და პრეზიდენტმა კატალინა ნოვაკმა გულთბილად უმასპინძლეს სტუმარს. აღინიშნა, რომ უნგრულ-აზერბაიჯანული ურთიერთობები დინამიურად ვითარდება. ორბანმა თქვა, რომ ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის დონე ერთი საფეხურით მაღლა ავიდა და სტრატეგიული პარტნიორობის ხარისხი შეიძინა.

ხელი მოეწერა არაერთ ხელშეკრულებას, მათ შორის, უმთავრესს, აზერბაიჯანის ენერგორესურსების ექსპორტს უნგრეთში. ალიევი შეჰპირდა ორბანს, რომ 2027 წლისთვის, აზერბაიჯანი ორჯერ გაზრდის უნგრეთისთვის ბუნებრივი აირის მიწოდებას. ორბანმა განაცხადა, რომ უკრაინის ომმა და სანქციებმა რუსეთის მიმართ, ევროპაში ენერგო-კრიზისი გამოიწვია. ევროპა დაუცველია ენერგეტიკული უსაფრთხოების თვალსაზრისით. ამიტომ, უნგრეთი, რუსეთის გვერდის ავლით, ახალი გზების გამონახვას ცდილობს. ერთ-ერთი ასეთი გზა აზერბაიჯანისა და ცენტრალური აზიის ენერგორესურსების მიღებაა. გააკრიტიკა რა ბრიუსელი, ორბანმა ნაბუკოს პროექტი გაიხსენა, რომელიც აზერბაიჯანიდან ევროპაში გაზის მილსადენის გაყვანას გულისხმობდა. პროექტი გერმანიისა და სხვა ქვეყნების გამო ჩავარდა. ჩვენ პრორუსულობას გვაბრალებენ, თავად კი, ასეთი პროექტი ჩაშალესო, თქვა მან. მხარეებმა განიხილეს პროექტი, რომელიც შავი ზღვის ფსკერზე ელექტროკაბელის გაყვანას ითვალისწინებს, რომელსაც საქართველომ, აზერბაიჯანმა, უნგრეთმა და რუმინეთმა გასული წლის ბოლოს მოაწერეს ხელი. უნგრეთის პრემიერ-მინისტრი კასპიის რეგიონიდან ევროპაში გამავალი სავაჭრო-ლოჯისტიკური გზებით დაინტერესდა, რომელთა გაფართოება აზერბაიჯანსა და საქართველოს ევრაზიის სატრანსპორტო-ლოჯისტიკურ ჰაბად აქცევს.

აზერბაიჯანის ენერგორესურსებით უნგრეთის დაინტერესებას ადრეც ჰქონია ადგილი: 2019 წელს, უნგრეთის ცნობილმა ნავთობკომპანიამ MOL Group-მა საგულისხმო ინვესტიცია განახორციელა აზერბაიჯანის ენერგორესურსების კომპანიებში. 2020 წელს კი, ამავე კომპანიამ ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის კომპანიის დიდი წილი იყიდა. უნგრეთი ცენტრალური აზიის ქვეყნებთანაც თანამშრომლობს. იგი, როგორც ასოცირებული წევრი, აქტიურად მონაწილეობს თურქული სახელმწიფოების ორგანიზაციის სამიტებში. სწორედ უნგრეთის დამსახურებაა, რომ 2019 წელს, ევროკავშირში ამ ორგანიზაციის წარმომადგენლობა გაიხსნა.

# რა გზას აირჩევს ირანი?!

**უკვე ვიცით, რომ უკრაინის ომით საერთაშორისო პოლიტიკაში ახალი ეპოქა იწყება, მაგრამ ეს კონფლიქტი ომის ახალი მეთოდებით წარმოებასაც რომ გვასწავლის, ესეც ფაქტია. საუბარია უპილოტო საფრენი და მცურავი აპარატების ინტენსიურ გამოყენებაზე რუსეთისა და უკრაინის მიერ. უნდა ითქვას, რომ რუსეთი განცვიფრებულია, უკრაინის შეიარაღებული ძალები ასეთი სიზუსტითა და მოხერხებით რომ იყენებენ ამ თანამედროვე საბრძოლო საშუალებებს. შარშან, ყირიმში მდგარ რუსულ სამხედრო გემებზე უკრაინელებმა სწორედ დრონებით განახორციელეს შეტევა.**

როგორც დასავლელმა სამხედრო ექსპერტებმა აღნიშნეს, შეტევა სამხედრო ხელოვნების სახელმძღვანელოებშია შესატანი. ახლახან, მსგავსი რამ მოხდა ირანში: 28 იანვარს, შუა ღამისას, ირანის სამხედრო ობიექტებზე ძლიერი აფეთქების ხმა გაისმა. შეტევა დრონებით განხორციელდა. მათ ირანის ჩრდილო-დასავლეთში მდებარე უზარმაზარ ნავთობგადამამუშავებელ ქარხანას შეუტიეს.

აფეთქებების ხმა ისმოდა სამხედრო ავიაბაზა დიზფულზე, ქალაქებში ჰამადანსა და რეშტში. თვით ირანის დედაქალაქშიც მოხდა აფეთქება, მაგრამ ყველაზე ძლიერი აფეთქებების ხმა ქალაქ ისფაჰანში გაისმა, სადაც ირანის მთავარი სამხედრო ქარხნებია განლაგებული. როგორც ისრაელის ცნობილი გამოცემა Jerusalem Post-ი იუწყება, დრონებმა შეტევა ისფაჰანში ორ დიდ სამხედრო ობიექტზე განახორციელეს. ეს არის ბალისტიკური რაკეტების მწარმოებელი ქარხანა და კოსმოსის კვლევების სამეცნიერო ინსტიტუტი. ქარხანაში, ბალისტიკური რაკეტები და ცნობილი უპილოტო საფრენი აპარატები, შაჰიდები, მზადდება, რომელსაც რუსეთი ომში იყენებს. სამეცნიერო ინსტიტუტი კი, ირანის ბირთვულ პროგრამაზე მუშაობს. ზარალი ჯერ არაა დათვლილი. ირანის სამთავრობო მედიის მტკიცებით, სამხედრო ობიექტებზე თავდასხმას არც მსხვერპლი და არც დიდი ზიანი არ მოჰყოლია. ითქვა, რომ ირანის არმიამ შესძლო დრონების უმრავლესობის განადგურება. ისრაელისა და დასავლური საინფორმაციო საშუალებები კი, განსხვავებულ ინფორმაციას იძლევა. მათი დაზვერვის ანონიმურ წყაროებზე დაყრდნობით, დრონების შეტევამ წარმატებით ჩაიარა.



**დრონებმა სამიზნე ობიექტები მთლიანად ან სანახევროდ გაანადგურა. შეტევა განახორციელა დრონებმა, სახელად კვადროკოპტერებმა, რომელსაც მოქმედების პატარა რადიუსი აქვს. როგორც ჩანს, ისინი ირანის შიდა ტერიტორიიდანაა გაშვებული, რაც, იმაზე მიუთითებს, რომ ირანის უშიშროების ძალები, ალბათ, სათანადო სიმაღლეზე ვერ დგანან. შეტევებზე პასუხისგებლობა, ჯერჯერობით, არცერთ ქვეყანას და არცერთ ტერორისტულ დაჯგუფებას არ აუღია, მაგრამ, დასავლელმა და ახლო-აღმოსავლეთის ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ ასეთი ოპერაციის ჩატარება მსოფლიოში მხოლოდ ორ ქვეყანას შეუძლია, ამერიკასა და ისრაელს. ამერიკამ უარყო ამ ამბავში მონაწილეობა. ისრაელი კი, ჯერჯერობით კომენტარს არ აკეთებს. შეტევების უკან, შესაძლოა, ორივე ქვეყანა იდგეს. ეჭვს ის ფაქტიც იწვევს, რომ ზუსტად შეტევის დღეს, ისრაელში, საიდუმლო ვიზიტით, ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის უფროსი უილიამ ბერნსი იმყოფებოდა. მოგვიანებით, ისრაელს ამერიკის საგარეო საქმეთა მინისტრი, ენტონი ბლინკენიც ეწვია. მოგეხსენებათ, ორივე ქვეყანას, დიდი ხანია, აწუხებს ირანის სწრაფვა ატომური იარაღის შექმნისკენ. პრეზიდენტი ბაიდენი, თავიდან, ცდილობდა დიპლომატიური გზებით მოეგვარებინა ეს პრობლემა. გაეროს ეგიდითაც ტარდებოდა მოლაპარაკებები, მაგრამ ყველა შეხვედრა წარუმატებლად დამთავრდა. ამერიკას, ასევე, აშფოთებს ირანის აქტიურობა უკრაინის ომში. მოკლედ, ორივე ქვეყანას მიეცა საბაბიც და საშუალებაც, რომ შეტევები მოეწყოთ. ისრაელის დაზვერვა, უკვე, რამდენიმე წელია, ირანის ბირთვული პროგრამის წინააღმდეგ სადაზვერვო და დივერსიულ ოპერაციებს აწყობს.**

ირანის სამხედრო ობიექტებზე რამდენჯერმე მოხდა აფეთქება. ისრაელის დაზვერვამ ბირთვული დარგის წამყვანი ირანელი მეცნიერები და სპეციალისტები გაანადგურა. ისრაელის პრესის აზრით, ისრაელმა ირანს მესიჯი გაუგზავნა, რომ არ შეურიგდება ირანის მიერ ბირთვული იარაღის წარმოებას. ირანის მთავრობა, ჯერჯერობით, სდუმს, მაგრამ, სავარაუდოა, რომ პასუხს დიდხანს არ დააყოვნებს. პასუხის გაცემის კი, ორი გზა აქვს: ერთი, პირდაპირი შეტევა ახლო აღმოსავლეთში მდებარე ამერიკულ ბაზებზე, და მეორე, დივერსია, ანუ, ტერაქტები და სირიაში ვითარების გამწვავება. რომელ გზას აირჩევს ირანის ხელმძღვანელობა, არავინ იცის...

# იტალიის ლიდერი სუპერაქტიური ქალია!



**იტალიის ისტორიაში პირველად, ქვეყნის მეთაური გახდა ქალი, თან, გამოკვეთილი ულტრა-მემარჯვენე. ის გასული წლის ბოლოს აირჩიეს პრმიერ-მინისტრად. ქალბატონი Georgia Meloni 1977 წელს დაიბადა რომში. მამა ბუღალტერი ჰყავდა. კომუნისტი. მამამ ოჯახი დატოვა და ესპანეთში გადასახლდა კანარის კუნძულებზე. ჯორჯას მასთან ურთიერთობა დღემდე არ აქვს.**

დედას, მარტოხელას გაუზრდია ის და მისი უფროსი და არიანა. Garbatella, ასე ჰქვია რომის მუშათა უბანს, სადაც დედასთან და დასთან ერთად დიდხანს ცხოროვბდა იტალიის მომავალი პრემიერ-მინისტრი. ჯორჯამ Amerigo Vespucci-ის სახელობის პროფსასწავლებელი, იგივე, საშუალო სკოლა, წარჩინებით დაამთავრა. პოლიტიკით 15 წლის ასაკში დაინტერესებულა. 1992 წელს, იტალიის ცნობილ ნეოფაშისტურ ახალგაზრდულ ორგანიზაციას Fronte della Giovent--ს შეუერთდა. მოგვიანებით, მან თავად დაარსა სტუდენტური ორგანიზაცია, სახელწოდებით, Gli Antenati, წინაპრები, რომელიც განათლების რეფორმის წინააღმდეგ გამოსვლებით იყო ცნობილი. 1996 წელს, ჯორჯა ულტრა-მემარჯვენე პარტიის სტუდენტური მოძრაობის, Alleanza Nazionale-ს, ეროვნული კავშირის, ლიდერი გახდა, რომელიც ნეოფაშისტური პარტიისა და სხვა ულტრა-მემარჯვენე ძალების შერწყმის შედეგად წარმოიშვა. მისი დამაარსებლი Gianfranco Fini გახლავთ, იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი Berlusconi-ს კაბინეტში. 1998 წელს, Georgia Meloni რომის ერთერთი პროვინციის საკრებულოს დეპუტატად აირჩიეს, რომელშიც ახალგაზრდობისა და განათლების კომიტეტის წევრი იყო. 2001 წელს, Alleanza Nazionale-ს ლიდერმა Gianfranco Fini-მ მელონი პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაციის შექმნის კოორდინატორად დანიშნა. სამი წლის შემდეგ, ის ახალგაზრდული ორგანიზაციის, Azione Giovani-ის ლიდერი გახდა. 2006 წელს, 29 წლის Georgia Meloni იტალიის პარლამენტის წევრი, ოდნავ მოგვიანებით კი, პარლამენტის ერთ-ერთი ვიცეპრეზიდენტია. ჯორჯამ ჟურნალისტიკაშიც მოსინჯა თავი. მაშინ, იტალიის მმართველ მემარჯვენე კოალიციას Silvio Berlusconi ედგა სათავეში. კოალიციაში Georgia Meloni-ის პარტიაც შედიოდა. 2008 წელს, ბერლუსკონიმ მეორეჯერ გაიმარჯვა საპარლამენტო არჩევნებში. მან დააფასა Georgia Meloni-ის აქტიურობა და იტალიის ახალგაზრდობის მინისტრად დანიშნა. იტალიის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა მინისტრი იყო.

2016 წელს, პარტიამ მელონი რომის მერის არჩევნებზე თავის კანდიდატად წამოაყენა, მაგრამ ის დამარცხდა. 2018 წელს, პარტიამ Fratelli d'Italia, მემარჯვენე ბლოკთან ერთად, საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვა, მაგრამ თავად ბლოკი მალევე დაიშალა. იტალიის სათავეში კოალიცია მოვიდა Giuseppe Conte-ს მეთაურობით. მელონის პარტია კი, ძლიერ ოპოზიციურ ძალად იქცა. თავისი პოლიტიკური კარიერის ამ ეტაპზე, Georgia Meloni ცდილობდა იტალიის ამომრჩეველი დაერწმუნებინა, რომ მისი პარტია ყველაზე კარგად გაუძღვებოდა ქვეყანას.

როგორც ოპოზიციის ლიდერი, ის ყველგან აქტიურობდა: აწყობდა მიტინგებს, სიტყვით გამოდიოდა პარლამენტში, ტელევიზიით, და განმარტავდა, რომ მისი პარტია შორსაა ნეოფაშიზმისგან; ის მხოლოდ მძლავრ კონსერვატულ იდეებს იზიარებს.

2020 წელს, Georgia Meloni მემარჯვენე ევროსკეპტიკოსების, ევროპის კონსერვატორებისა და რეფორმატორების ალიანსის ლიდერად აირჩიეს.

2022 წლის ივლისში, იტალიის მთავრობა, Mario Draghi-ს ხელმძღვანელობით, გადადგა, რადგან დაიშალა სამთავრობო კოალიცია. 25 სექტემბერს, რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა, რომელშიც ეროვნულ-კოსერვატულმა, მემარჯვენე-პოპულისტურმა პარტიამ, Fratelli d'Italia-მ ყველაზე მეტი ხმა მიიღო, და Georgia Meloni იტალიის პირველი ქალი პრემიერი გახდა. საგარეო პოლიტიკაში, მელონი აშკარა პროამერიკელი და NATO-ს მხარდამჭერია. მისი აზრით, ნატო, ამერიკის მეთაურობით, ევროპის უსაფრთხოების საძირკველია. ის მხოლოდ ბრიუსელის დიქტატის წინააღმდეგია. მელონი, არ ემხრობა ევროპის ლიბერალურ შეხედულებებს ლგბტ-სა და მიგრანტების თემაზე.

უკრაინის საკითხში, ანტირუსული შეხედულებებისაა. რაც შეეხება შიდა პოლიტიკას, მელონიმ განაცხადა, რომ იტალია ტრადიციულ ქრისტიანულ საწყისებს უნდა დაუბრუნდეს. ჯორჯას ცხოვრებისეული პარტნიორია იტალიელი ჟურნალისტი. წყვილს, 2016 წელს, გოგონა, Ginerva, შეეძინათ. მისი დის, არიანას მეუღლე ცნობილი პოლიტიკოსი Francesco Lollobrigida-ა, რომელსაც ახლა სოფლის მეურნეობის მინისტრის თანამდებობა უკავია...



**ნუგზარ (ბ) რუხაძე,**
**POSTV**

# არაფერია გასაკვირი ამ მზისქვეშეთში!



### ჟურნალისტებმა რუსეთის პატრიარქის ჯაშუშური კარიერის მტკიცებულებებს მიაკვლიეს

**რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაური, პატრიარქი კირილი 1970-იან წლებში ჟენევაში მუშაობდა საბჭოთა КГБ-ს საგარეო დაზვერვის სამსახურში,** – ამის შესახებ Matin Dimanche და Sonntagszeitung შვეიცარიის ფედერალური არქივის მონაცემებზე დაყრდნობით იუწყებიან. როგორც იტყობინებიან, კირილის შესახებ დოკუმენტი, რომელიც მაშინდელმა ფედერალურმა პოლიციამ შეადგინა და შემდეგ გაასაჯაროვა, ადასტურებს, რომ სასულიერო პირი КГБ-ს ეკუთვნოდა.

**1970-იანი წლების დასაწყისში რუსეთის ეკლესიის ამჟამინდელი პატრიარქი ჟენევაში ცხოვრობდა ფსევდონიმით „მიხაილოვი“. მას ოფიციალურად უნდა წარმოედგინა მოსკოვის საპატრიარქო ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში. კირილის ამოცანა, მათ შორის, საბჭოზე გავლენის მოხდენა იყო. იმდროინდელი საბჭოთა ხელმძღვანელობის მიზანი, მედიის ცნობით, იყო ინსტიტუტის იძულება, დაეგმო აშშ და მისი მოკავშირეები და შერბილებულიყო მათი კრიტიკა საბჭოთა კავშირში რელიგიური თავისუფლების ნაკლებობის შესახებ. რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის მეთაური კირილი კრემლის ლიდერ ვლადიმირ პუტინისა და მისი პოლიტიკის მხარდამჭერია. ის მხარს უჭერს რუსეთის ომს უკრაინაში, ხოლო 2012 წელს მან პუტინს „სასწაული“ უწოდა.**

## ნაფტალი ბენეტი: დიდწილად დასავლეთმა ჩაშალა მოლაპარაკება



სოციალურ ქსელ „ტვიტერში“ ისრაელის ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ნაფტალი ბენეტის ინტერვიუდან ნაწყვეტი ვრცელდება, რომელშიც ის იხსენებს რუსეთ-უკრაინის ომის თემაზე მოლაპარაკების პროცესის მიმდინარეობას.

**„პუტინთან საუბრის შემდეგ მე გავფრინდი გერმანიაში, რადგან გერმანია და საფრანგეთი არიან მთავარი ფიგურები ევროპაში. იმისთვის, რომ შეთანხმება მიღწეული იქნას, ყველამ უნდა შეიტანოს წვლილი. მე გავაკეთე ჩანაწერი უკვე განხორციელებული და შემდგომ გადასადგმელი ნაბიჯების შესახებ, ასევე, რა უთანხმოება წარმოიშვა მოლაპარაკების დროს და რა იყო საჭირო ყველასგან,“** – აცხადებს ნაფტალი ბენეტი გავრცელებულ ვიდეო ჩანაწერში.

მისივე თქმით, ბერლინში ჩასვლის შემდეგ, საქმის კურსში ჩააყენეს საფრანგეთის პრეზიდენტი და ამერიკული მხარე, რომელსაც ძირითადად აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში ჯეიკ სალივანი, ზოგჯერ კი პრეზიდენტი ჯოზეფ ბაიდენი ან სახელმწიფო მდივანი ენტონი ბლინკენი წარმოადგენდნენ. **„ყველა ლიდერს აქვს საკუთარი მიდგომა. შეგვიძლია დავყოთ ლიდერები შემდეგნაირად: ისინი, ვინც მიჰყვება ხაზს „ჩვენ უნდა ვეომოთ პუტინს“ და ისინი ვინც ამბობენ „ყველა ომში არიან წაგებულები“. ბორის ჯონსონი მხარს უჭერდა უფრო რადიკალურ ზომებს. მოდით ვთქვათ, რომ მაკრონი და შოლცი უფრო პრაგმატულები არიან, ხოლო ბაიდენი მხარს უჭერდა ორივე მიდგომას. მაგრამ დასავლეთმა გადაწყვიტა, რომ საჭიროა გაგრძელდეს პუტინის განადგურება და არა მოლაპარაკება,“** – იხსენებს ნაფტალი ბენეტი. როგორც ისრაელის ყოფილი პრემიერი აღნიშნავს, ყველა მისი ქმედება, უმცირეს დეტალებამდეც კი, შეთანხმებული იყო აშშ-სთან, გერმანიასთან და საფრანგეთთან.

## ალექსეი არესტოვიჩი: ამერიკელები და დასავლეთი ამზადებენ გაცვლას, ჩვენ ვკარგავთ ცოტა დონეცკსა და ლუგანსკს



**ყველას ესმის, რომ უკრაინას არ აქვს რესურსი და დასავლეთს ძალიან დიდი დრო დასჭირდება ამ რესურსის შესაქმნელად, რომ ჩვენ ძალის გამოყენებით განვდევნოთ რუსები აქედან,** – ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტის ოფისის ხელმძღვანელის ყოფილმა მრჩეველმა, ალექსეი არესტოვიჩმა განაცხადა.

**„ამერიკელებს და დასავლეთს მშვენივრად ესმით, საით მიდის ყველაფერი. ჩემი შეფასებით, ისინი ამზადებენ ასეთ გაცვლას – ჩვენ ვკარგავთ ცოტა დონეცკსა და ლუგანსკს, რადგან 200 000 სამხედროს შეჩერებით დავიღლებით. რა თქმა უნდა, მოგვიწევს ცოტა გაწევა, ჩვენ ხომ ეს გვესმის. აქ კითხვაა – რა ხარისხით. ვიმედოვნებთ, რომ მინიმუმით გავიწევით, რადგან ეს ჩვენი ჯარის სისხლია, ეს ყველაფერი ძალიან მძიმეა და ა.შ. თუმცა ჩვენ, დიდი ალბათობით, ვარღვევთ სამხრეთის ფრონტს, რადგან ამისკენ მიდის ყველაფერი, ან სადმე სხვაგან, და ვაღწევთ მსხვილ წარმატებას. და ასეთი გაცვლით ამერიკული მხარის მთელი იმედი დამყარებულია იმაზე, რომ გაცვლის ჩვენი წილი იქნება მეტი, ვიდრე რუსეთის, რადგან ჩვენ ვიმყოფებით ძლიერ მომლაპარაკებელ პოზიციებზე. და თუ ჩვენ ყურადღებით მოვისმენთ ყველა მათ წამოცდენას, ისინი ამბობენ, ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ მოლაპარაკებების საუკეთესო პოზიციები. განსაკუთრებით ბოლო დღეებში გაჟღერდა ეს ხმები, უკრაინისთვის ეს პოზიციები ძალის გამოყენებით უნდა იქნას უზრუნველყოფილი – სტოლტენბერგი, ყველა წარმომადგენელი და ა.შ. ამბობენ – საუკეთესო პოზიციები. თუმცა, მაინც ისმის რა? „მოლაპარაკებები“, რადგან ყველას ესმის, რომ არ აქვს უკრაინას რესურსი და დასავლეთს ძალიან დიდი დრო, წლები დასჭირდება ამ რესურსის შესაქმნელად, რომ ჩვენ ძალის გამოყენებით განვდევნოთ რუსები აქედან. რადგან გაუთავებელი 200 ათასის მობილიზება მათ ძალიან დიდხანს შეუძლიათ – შუბებით, მშვილდისრებით, მაგრამ ძალიან დიდხანს“,** – განაცხადა არესტოვიჩმა.



# მცენარეთა „ცირკსაცავი“

**თავის დროზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, შემდგომ კი ყოფილი სსრ კავშირის უშიშროების ყოვლისშემძლე მინისტრი ლავრენტი ბერიას სამშობლოში მოღვაწეობის შესახებ მოარული ხმებით, გმირთა მოედნის გორაკზე მდგარი თბილისის ცირკის შენობის ქვეშ საიდუმლო საცავი იყო!..**

ცნობილია, რომ ცირკის შენობა 1939 წელს ნამდვილად ლ. ბერიას განკარგულებით აშენდა, მის ქვეშ კი, ბორცვის გულში, საიდუმლო ბუნკერი მოეწყო, მაგრამ იმ დროს ამაზე ხმამაღლა ლაპარაკი არაფრით არ შეიძლებოდა. ისე კი, ჩურჩულით ამბობდნენ, რომ ამ საცავში **მარცვლეულის პირველი ბანკი** იყო განთავსებული.

როგორ და რატომ გააკეთა ასეთი უჩვეულო ბანკი სულ ახალგაზრდა – იგი მაშინ 36 წლისა იყო! – ბერიამ?! მსგავსი ბანკების შექმნა ხომ მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში მხოლოდ შვიდი ათეული წლის შემდეგ დაიწყეს? მარცვლეულის პირველი გენეტიკური ბანკი, რომელსაც **აპოკალიფსურსაც** უწოდებენ, მსოფლიოში მხოლოდ 21-ე საუკუნეში, 2008 წელს ნორვეგიაში შეიქმნა, სადაც დღესდღეობით 860 ათასზე მეტი მცენარის ნიმუშია დაცული.



მარცვლეულის პირველი გენეტიკური ბანკი ნორვეგიაში

არსებობს გვირაბმშენებელ ვალერიან ურუშაძის მოგონება. რომლის თანახმად, თბილისის ცირკის შენობის ქვეშ, ლ. ბერიას განკარგულებით მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის მცენარეთა თესლის საცავი მოეწყო.

**„როდესაც ბერიამ დამიბარა, ცივმა ოფლმა დამასხა და მუხლები ამიკანკალდა: ვაითუ რაღაც არ მოეწონა და იმიტომ მიბარებს რომ გამკიცხოს-მეთქი. კაბინეტში გაფითრებული შევედი, მაგრამ მის სახეს რომ შევხედე, ცოტა მომეშვა. შემეგება და ხელი ჩამომართვა, შემდეგ დაბალ მაგიდასთან წამიძღვა, სადაც რბილი სავარძლები იდგა. ორთავე რომ მოვკალათდით, მითხრა:**

**– როგორ გიკითხოთ, ამხანაგო ვალერიან, როგორ მიდის თქვენი საქმიანობა? ხომ არაფერი გჭირდებათ, რომ დაგეხმაროთ?**

**– გმადლობთ, ამხანაგო ბერია, ყველაფერი ნორმალურადაა და დახმარება არ მჭირდება, – ვუპასუხე ბერიას.**

**– როგორ, კაცო (ბერიამ შენობით მომმართა), პირადადაც არაფერი გინდა, აი, მაგალითად, ოჯახში? როგორ დავიჯერო, რომ პატარა თხოვნაც არა გაქვს ჩემთან?!**

**– ნამდვილად არა, ამხანაგო ბერია! დიდი მადლობა ყურადღებისთვის! – ვუთხარი, თან ვცდილობდი გამომეცნო, თუ რა სურდა ამ კაცს ჩემგან.**

**– კარგი, მაშინ მე მაქვს ერთი თხოვნა შენთან და კარგად მომისმინე. გავიკითხე და მითხრეს, ურუშაძეზე უკეთ საქართველოში ბუნკერს ვერავინ ააშენებსო. სულ მალე ახალი ცირკის მშენებლობას ვიწყებთ, პროექტის ავტორები ნეპრინცევი და საგუნეცი არიან, იცნობ, ალბათ.**

**– დიახ, მათ კარგად ვიცნობ, კარგი სპეციალისტები არიან, – ვუთხარი მე.**

**– ჰოდა, ძალიან კარგი, არჩევანში არ შევმცდარვარ. მინდა, რომ შენც ჩაერთო ამ პროექტში და ფუნდამენტთან ერთად, სანამ მთავარ შენობას ამოიყვანენ, იქ დიდი ბუნკერი ააშენო. ეს შესაძლებელია?**

**– დიახ, შესაძლებელია. ბუნკერი თავდაცვითი ნაგებობა უნდა იყოს? – ვიკითხე.**

**– არა, ის უნდა იყოს სხვადასხვა მცენარისა და მათნაირი ჯიშების მარცვლეულის საცავი, რა თქმა უნდა, უსაფრთხოდ შენახვის ყველა წესის გათვალისწინებით, – განმარტა ბერიამ.**

**– ესე იგი, თერმული, – ვთქვი მე და დავაყოლე: – ისეთ თერმულ ბუნკერს ავაშენებ, რომ მასში შენახული მცენარეები ათას წელიწადს გაძლებს!**

**ბერიას კაბინეტიდან გამოსულს თითქოს ფრთები მქონდა შესხმული, თუმცა კიდეც მეშინოდა: რადაც უნდა დამჯდომოდა, ბუნკერი ისე უნდა ამეშენებინა, რომ ბერიას მოსწონებოდა. არაფერი არ უნდა შემშლოდა, თორემ საკუთარი თავით ვაგებდი პასუხს.**

**საბოლოოდ, 80 მეტრის სიღრმეზე მდებარე ორსართულიანი ბუნკერი, რომელსაც ორი შენიღბული შესასვლელი ჰქონდა (სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან), თავად ბერიამ ჩაიბარა და ხელი მტკიცედ ჩამომართვა!“**

ამის შემდეგ ცირკისქვეშა საცავის შესახებ არავის არაფერი გაუგია, ბოლო წლებში კი კიდევ ერთი საბჭოთა ოფიცრის – ვინმე სურგულაძის დოკუმენტი გამოჩნდა, რომელიც ირწმუნებოდა, რომ ამ საცავს 20 წლის განმავლობაში ვხელმძღვანელობდი და იქ ლამის ყუთებით შეჰქონდათ საზღვარგარეთიდან ჩამოტანილი მცენარეების თესლიო...

მოამზადა
**ოთარ ტურაბელიძე**

**P.S.** **ბოლოთქმის მაგიერ.** აქვე აუცილებლად უნდა ითქვას ისიც, რომ ზოგიერთი მოარული, არცთუ უსაფუძვლო ხმებით, ცირკის შენობის ქვეშ ბუნკერს ომის დროს (სავარაუდოდ, ბირთვულის!) თავშესაფრის როლი უნდა შეესრულებინა, მაგრამ რამდენად განსაჭვრეტი იყო ეს ამბავი იმ შორეულ დროს, მით უმეტეს, იქ მისაყვანი ადამიანების სტატუსისა და, შესაბამისად, მათი ტრანსპორტირების სირთულეთა გამო, ახლა ძნელი სათქმელია.
ო. ტ.

◎ რაგბი ჩვენი თამაშია

# ლევან მაისაშვილი: „არ აქვს მნიშვნელობა ვინ არის მოწინააღმდეგე, მთავარია ჩვენ ვიყოთ ის, ვინც ვართ“

**საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა, როგორც უკვე გაუწყეთ, 2023 წელი გამარჯვებით დაიწყო და გერმანიის ნაკრები 75:12 დაამარცხა. მატჩის შემდეგ ბორჯღალოსანთა თავკაცმა ლევან მაისაშვილმა კომენტარი გააკეთა და თქვა, რომ ასეთი სხვაობით მოგება მოსალოდნელი იყო.**

ლევან მაისაშვილი: **„მას შემდეგ, რაც რაგბი ევროპამ ტურნირის ფორმატი შეცვალა, ცხადი იყო რომ ასეთი სხვაობა იქნებოდა. ასეთ თამაშებზე რთულია მოტივაციის შექმნა, რაც ერთგვარი წნეხია, თუმცა კვირის დასაწყისში გუნდში გვქონდა საუბარი და შევთანხმდით – არ აქვს მნიშვნელობა ვინ არის მოწინააღმდეგე, მთავარია ჩვენ ვიყოთ ის, ვინც ვართ და რას ვაკეთებთ. სწორედ აქ არის პროფესიონალიზმი. გერმანიამ რაც შეეძლო იბრძოლა, მაგრამ დომინანტები ვიყავით. ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო არა მხოლოდ ანგარიში, არამედ ის, თუ როგორ გადავიტანდით მოედანზე იმას, რაზეც კვირის განმავლობაში ვმუშაობდით. მთელ რიგ ეპიზოდებში ეს შევძელით. იყო შეცდომებიც და ვეცდებით მომდევნო კვირაში კიდევ უფრო კარგი თამაში ვაჩვენოთ.**

**12 ქულა მივიღეთ, რაც პატარა ამოვარდნების შედეგები იყო. დისციპლინა მხოლოდ წესის დარღვევა არაა, ესაა გეგმიდან ამოვარდნაც და რამდენჯერმე სწორედ ასე დაგვემართა, ოდნავ უსისტემოდ ვითამაშეთ, მობილიზაცია არასაკმარისი იყო და შედეგიც სახეზეა. სასაყვედურო არავისთან არაფერია, რადგან როდესაც ასე დომინირებ, რთულია ბოლომდე სისტემაში დარჩე. გავიტანეთ ლამაზი ლელოები, კარგი გარღვევები, გადაწყვეტილებები და შესრულება გვქონდა, რისთვისაც მადლობა ბიჭებს.**

**ჩვენი მთავარი მოცემულობა იყო, რომ შანსი მიგვეცა დებიუტანტებისთვის, ასევე მეტი სათამაშო დრო მთელი რიგი მოთამაშეებისთვის. მივიღეთ რისკიანი გადაწყვეტილებებიც. თამაშის დასრულებამდე 30 წუთით ადრე ყველა შეცვლა გამოვიყენეთ, რაც ერთგვარი რისკი**



**იყო. ნებისმიერ დროს შეიძლებოდა ვინმე დაშავებულიყო და მოედანზე კაცნაკლული დავრჩებოდით, მაგრამ ამისთვისაც მზად ვიყავით. მთლიანობაში, დებიუტანტებმა ძალიან კარგად ითამაშეს და მინდა მათ მივულოცო პირველი სანაკრებო კეპი. ასევე ლაშა მალაღურაძეს ვულოცავ მე-100 კეპს, რაც ძალიან დიდი მიღწევა და ბედნიერებაა, რისი შანსიც ყველას არ აქვს.**

**რამდენიმე ლიმიტირებული მოთამაშე გვყავდა, რომელთაც ტრავმები ჰქონდათ. ჩვენთვის მორაგბეთა ჯანმრთელობის ფასი არაფერია. სულ რომ თამაში წავაგოთ, გამოუჯანმრთელებელ მოთამაშეს მოედანზე არ გავიყვანთ. გარდა ამისა, ზოგიერთ მათგანს წლის განმავლობაში საკმარისი სათამაშო დრო აქვს და დასვენების საშუალება მივეცით. მათი ნაწილი ნიდერლანდებთან, ნაწილი კი ესპანეთთან დაგვემატება. რაც შეეხება ნიდერლანდებთან თამაშს, კარგად გვახსოვს, რომ წლების წინ, დაუფასებლობის გამო მათთან თამაში გაგვიჭირდა და იგივეს გამეორებას არ ვაპირებთ. მათთან შეხვედრა შემდეგი ნაბიჯია“.**

ბექა სალინაძე: **გუნდის კაპიტანი: „მადლობა მოწინააღმდეგეს ბრძოლისთვის, ჩვენს გუნდს კარგი თამაშისთვის და მაყურებელს მობრძანებისა და ქომაგობისთვის. ჩემი კაპიტნობა მოულოდნელი იყო. თამაშამდე ორი დღით ადრე ასეთი დიდი პასუხისმგებლობა დამეკისრა. ვეცადე სწორად მივყოლოდი იმ მოცემულობას, რაც მერაბ შარიქაძემ და ბექა გორგაძემ დანერგეს. რაც შეეხება თამაშს, გვქონდა პატარ-პატარა შეცდომები, თუმცა მთლიანობაში 2023 წელი კარგ ნოტაზე გავხსენით. ბიჭებმა ვიცოდით რას აპირებდა ნოდარ ჭეიშვილი და გუშინ პატარა რეპეტიციაც გავიარეთ. მთელი გუნდის სახელით კიდევ ერთხელ ვულოცავ ნოდარს დაოჯახებას და ვუსურვებ ბედნიერებას თავის მეორე ნახევართან ერთად“.**

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრები მომდევნო მატჩს 11 თებერვალს, სტუმრად ნიდერლანდებთან ჩაატარებს.

◎ ტატამზე



## ღირსეულად დავხურეთ

**უკვე გაუწყეთ, რომ სეზონის პირველი პარიზული გრანდ სლემი ზედიზედ მეორედ მოიგო ყველაზე ტიტულოვანმა ქართველმა ძიუდოისტმა ლაშა შავდათუაშვილმა (73 კგ).**

პრესტიჟული ტურნირის ფინიში ასევე ოქროს მედლის მოპოვებით აღნიშნა შარშანდელმა გმირმა ტატო გრიგალაშვილმა, რომელმაც ზედიზედ სძლია იტალიელ, იაპონელ, საამიროების სახელით მოჭიდავე ნუგზარ ტატალაშვილს, აგრეთვე თურქ და გერმანელ მეტოქეებს (81 კგ), ხოლო ლუკა მაისურაძემ (90 კგ) ბრინჯაო დაიმსახურა. გუნდურ ჩათვლაში მესამენი ვიყავით, ვაჟებში კი ყველას ვაჯობეთ.

◎ კორტზე

## მოგებით დაიწყო

**ნიკოლოზ ბასილაშვილმა მონპელიეს ტურნირზე წარმატებული სტარტი აიღო და 1/16 ფინალში მასპინძელი კონსტან ლესტიენი დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა.**

პირველ სეტში ბასილაშვილმა უპირატესობა მოიპოვა და 5:3-ს იგებდა, მაგრამ მაშინ, როდესაც პარტიის მოსაგებად აწვდიდა, გეიმი საკუთარ ჩაწოდებაზე დათმო და საბოლოოდ, სეტი ტაიბრეიკზე წააგო. ქართველმა ჩოგბურთელმა ვითარების გამოსწორება მეორე პარტიაში მოახერხა, რომელიც თავის სასარგებლოდ, ანგარიშით 7:5 დაასრულა და შეხვედრაში წონასწორობა აღადგინა.

შედეგად, ყველაფერი მესამე სეტმა გადაწყვიტა, რომლის პირველი გეიმი ნიკოლოზმა საკუთარ ჩაწოდებაზე დათმო, მაგრამ მეტოქეს მაშინვე ბრეიკით უპასუხა, შემდეგ კი მეორე ბრეიკი მე-6 გეიმშიც გაახერხა და 4:2 დაწინაურდა. მოპოვებული უპირატესობა ბასილაშვილს ხელიდან არ გაუშვია და გამარჯვება მოიპოვა.

საბოლოოდ, ქართველმა ჩოგბურთელმა ფრანგი მეტოქე 2 საათსა და 32 წუთში, 6:7, 7:5, 6:2 დაამარცხა და მონპელიეს ტურნირის მერვედფინალში გავიდა.

◎ კარატე



## ოქროები კვიპროსიდან

**კვიპროსის ქალაქ ლარნაკაში ახალგაზრდული ევროპის ჩემპიონატი გაიმართა, სადაც ქართველმა კარატისტებმა, იკა სულამანიძემ და უტა ფონიავამ ოქროს მედლები მოიპოვეს.**

კუმიტეს –61 კგ. წონით კატეგორიაში ფონიავამ ფინალში პოლონელ დომინიკ ძიუდას სძლია, ხოლო –67 კგ. წონით კატეგორიაში, ასევე კუმიტეში, სულამანიძემ ესტონელი ტან მარკუს ოიალა დაამარცხა. ახალგაზრდული ევროპის ჩემპიონატის გამარჯვებული ესპანეთის ნაკრები გახდა, რომელმაც 6 ოქროს და 7 ბრინჯაოს მედალი მოიხვეჭა. საქართველომ ტურნირი 2 ოქროს მედლით მე-10 ადგილზე დაასრულა. იუნიორთა და კადეტთა ევროპის მომდევნო ჩემპიონატი 2024 წელს საქართველოში გაიმართება.

# საფეხბურთო მოზაიკა

**იტალიელმა ჟურნალისტმა პაოლო ბარჯიჯამ სოციალურ ქსელში გაავრცელა ინფორმაცია, თუ რა რაოდენობის ბონუსებს მიიღებენ „ნაპოლის“ ფეხბურთელები იტალიის ჩემპიონატის მოგებისა და ჩემპიონთა ლიგაზე მინიმუმ ნახევარფინალში გასვლის შემთხვევაში.**

„ნაპოლისთვის“ სკუდეტოს და ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გასვლისთვის „მინიმალური“ პრიზი დაწესდა: 5 მილიონი ევრო თითოეულ მიღწევაზე, რომელიც 25 ფეხბურთელზე განაწილდება. პრეზიდენტმა აურელიო დე ლაურენტისმა კაპიტან ჯოვანი დი ლორენცოს შეხვედრაზე ეს დაპირება მისცა“, – დაწერა ბარჯიჯამ სოციალურ ქსელში.

შეგახსენებთ, რომ „ნაპოლი“ იტალიის სერია A-ს 13-ქულიანი უპირატესობით ლიდერობს, ხოლო ჩემპიონთა ლიგაში მერვედფინალშია გასული, სადაც ფრანკფურტის „აინტრახტს“ დაუპირისპირდება.

* * *

ფიფას პრეზიდენტმა, **ჯანი ინფანტინომ,** თურქეთსა და სირიაში მომხდარ მიწისძვრებზე ისაუბრა.

**„საფეხბურთო საზოგადოების სახელით მინდა ღრმა მწუხარება გამოვხატო თურქეთსა და სირიაში მიწისძვრის შედეგად დაღუპულთა ოჯახებისა და მეგობრების მიმართ. ჩვენი ფიქრები და ლოცვები ახლა მათთანაა. გვინდა სოლიდარობა და მხარდაჭერა გამოვუცხადოთ ორივე ქვეყნის ხალხებს ამ საშინელ დროს.“** – ციტირებს ინფანტინოს სიტყვებს ფიფას ოფიციალური ტვიტერი.

შეგახსენებთ, რომ თურქეთსა და სირიაში მიწისძვრების სერია მოხდა, რა დროსაც ქალაქ გაზიანთეფთან დარტყმების სიმძლავრე 7,8 (10-დან) ბალი გახლდათ. სტიქიური უბედურებების შედეგად ქვეყნებში მრავალი შენობა ჩამოინგრა. ბოლო მონაცემებით დაღუპულია 3 ათასამდე ადამიანი. მათგან ორი საქართველოს მოქალაქეა.

* * *

მიუნხენის „ბაიერნის“ მთავარმა მწვრთნელმა იულიან ნაგელსმანმა განაცხადა, რომ კილიან მბაპეს ტრავმის არ სჯერა. როგორც გერმანელმა სპეციალისტმა აღნიშნა, შესაძლოა პსჟ იტყუება და მბაპეს ტრავმა სერიოზული არაა.

**„არ მგონია, რომ მბაპე პირველ მატჩს დააკლდეს. არ ვიცი, რა პრობლემა აქვს, პსჟ-ს საიტზე საკმაოდ ბუნდოვანი პრეს-რელიზია. ვერ წარმომიდგენია, რომ არ ითამაშოს, შესაძლოა, მათ ბლეფი გაითამაშეს. ბრძოლისთვის ისე მოვემზადებით, თითქოს მბაპეც ითამაშებს“,** – თქვა ნაგელსმანმა.

შეგახსენებთ, რომ კილიან მბაპემ ბარძაყის დაზიანება მიიღო და წინასწარი ვარაუდით მიუნხენის „ბაიერნთან“ პირველ შეხვედრაში მონაწილეობა ვერ უნდა მიიღოს.

* * *

**ლონდონის „ჩელსიმ“ ჩემპიონთა ლიგის პლეი-ოფისთვის უეფაში განაცხადი გაგზავნა და მასში ბევრი სიახლეა. „არისტოკრატებმა“ ზამთრის სატრანსფერო პერიოდში იაქტიურეს და ბუნებრივია, რომ განაცხადში ცვლილებების შეტანა მოუწიათ, თუმცა, ყველა ახალწვეული სალიგო განაცხადში ვერ მოხვდა.**

„ჩელსის“ განახლებულ განაცხადში მოხვდნენ ჟოაო ფელიქსი, ენცო ფერნანდესი და მიხაილო მუდრიკი. ფერნანდესმა ჟორჟინიოს ადგილი დაიკავა, რომელიც „არსენალში“ გადავიდა, ფელიქსმა ტრავმირებული არმანდო ბროია, ხოლო მუდრიკმა პიერ-ემერიკ ობამეიანგი ამოაგდო განაცხადიდან. შესაბამისად, გაბონელი ჩემპიონთა ლიგაზე ვერ ითამაშებს.

გარდა ამისა, ლონდონელთა განაცხადს მიღმა დარჩნენ დავიდ დატრო ფოფანა, ანდრეი სანტოსი, ბენუა ბადიაშილე და ნონი მადუეკე, რომლებიც ინგლისელებმა იანვარში დაიმატეს.

შეგახსენებთ, რომ ლონდონის „ჩელსი“ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში დორტმუნდის „ბორუსიას“ დაუპირისპირდება.

# „საბა“ 2023 – მესამე ათწლეული ქართული ლიტერატურისთვის




**წელს „საბამ“ ლიტერატურული კონკურსი ოცდამეერთედ გამოაცხადა. ავტორებსა და გამომცემლებს უკვე შეუძლიათ წიგნები წარადგინონ კონკურსზე. ამისათვის მათ უნდა შეავსონ ელექტრონული განაცხადი ვებგვერდზე saba.com.ge.**

განაცხადების მიღება 25 თებერვლამდე გაგრძელდება, რის შემდეგაც „საბას“ ჟიურის წევრები წიგნების განხილვას შეუდგებიან და გასული წლის ლიტერატურულ მოსავალს შეაფასებენ.

2023 წელს საუკეთესო წიგნებსა და ავტორებს ჟიური 9 ნომინაციაში გამოავლენს:

1. საუკეთესო **რომანი;** 2. საუკეთესო **პოეტური კრებული;** 4. საუკეთესო **პიესა;** 5. საუკეთესო **ლიტერატურული დებიუტი;** 6. საუკეთესო **ლიტერატურული კრიტიკა;** 7. საუკეთესო **ესეისტიკა და დოკუმენტური პროზა;** 8. უცხოური ნაწარმოების საუკეთესო **ქართული თარგმანი;** 9. ქართული ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი **განსაკუთრებული წვლილი**.

მარტში საკონკურსო წიგნების გრძელი სია გამოქვეყნდება. ასევე, კონკურსის მსვლელობის პარალელურად, ამ წიგნების ელექტრონული ვერსიებიც განთავსდება SABA Reader-ში და მკითხველებს საშუალება ექნებათ გაეცნონ მათ.

ლიტერატურული კონკურსი „საბა“ უკვე წლებია ყველაზე ავტორიტეტული პრემიაა ლიტერატურის დარგში. დაარსების დღიდან „საბამ“ არაერთი მწერლის ნაწარმოები და ღვაწლი შეაფასა, კერძოდ 4500-ზე მეტი წიგნი განიხილა, 196 პრემია გასცა და 150-ზე მეტი ავტორი დააჯილდოვა (მათგან არაერთი ავტორი დაჯილდოვდა მინიმუმ 2-ჯერ და მეტჯერ). ჟიურიში კი 90-მდე მწერალმა და ლიტერატორმა იმუშავა. წელს, კონკურსის ფინალისტების ვინაობა ივლისში გახდება ცნობილი, ხოლო შემოდგომაზე დაჯილდოების საზეიმო ცერემონია გაიმართება.

# წმინდა კეთილმსახური მეფე – დავით აღმაშენებელი



**8 თებერვალს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს. 1089 წელს საქართველოს ბედად მოევლინა განსწავლული, ღვთის მოშიში, ბრძნადმეტყველი, ქვრივ-ობოლთა განმკითხავი, სამართლიანი მსაჯული, მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა – წმინდა დავით აღმაშენებელი.**

...დავით აღმაშენებელი ურჩი დიდებულების დათრგუნვის შემდეგ მიხვდა, რომ ძლიერი სახელმწიფოს ქვაკუთხედი მშვიდობისა და ერთობის დამყარება იყო ქვეყანაში. მან თავისი გონიერი მზერა მიაპყრო ეკლესიებს, მოიწვია საეკლესიო კრება, მის ძეგლისწერაში აღწერილია, რომ მართლმადიდებლობას ერისა და პიროვნების გადარჩენის საქმეში სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

დავით აღმაშენებელმა დიდგორთან ომის მოგების (1121 წ.) თბილისის აღების (1122 წ.), დმანისის შემოერთების შემდეგ საქართველოს გაერთიანება დაასრულა.

აღსანიშნავია ის, რომ უფალი ყოველთვის შეეწეოდა ღვთის მადიდებელ მეფეს, და ცხადია, გამარჯვება გამარჯვებას მოსდევდა...

...ჯერ კიდევ 1106 წელს დაიწყო დავით მეფემ გელათის მონასტრის მშენებლობა. მეფემ მონასტერს დიდძალი განძი და ომებში მოპოვებული ნადავლი შესწირა. მისი მზრუნველი ხელი დაეტყო საქართველოს საზღვრებს გარეთ წმიდა ადგილებში მრავლად არსებულ ქართულ სავანეებს...

დავით აღმაშენებელი სწორუპოვარი ჰიმნოგრაფიც იყო, მისი „გალობანი სინანულისანი“ თავისი ღრმა სულიერებით უტოლდება ეკლესიის უდიდესი ჰიმნოგრაფების ნაწარმოებებს.

**გიული ლიპარტია**

# „ალტერნატივა საქართველოა“!

## ყაზახეთმა რუსეთის გვერდის ავლით ნავთობის ექსპორტი 10-ჯერ გაზარდა



**ყაზახეთმა მკვეთრად გაზარდა ნავთობის ექსპორტი რუსეთის გვერდის ავლით ნოვოროსიისკის ტერმინალში მომხდარი ინციდენტების სერიის შემდეგ, რომლის მეშვეობითაც ომამდე ყაზახეთს ბაზარზე საკუთარი რესურსის 80%-ზე მეტი გაჰქონდა.**

2022 წლის ბოლოს ყაზახეთმა საქართველოს პორტებით 1,328 მილიონი ტონა ნავთობი გაიტანა ექსპორტზე – 10-ჯერ მეტი, ვიდრე ერთი წლით ადრე, – გამოითვალა Reuters-მა ტრეიდერებისა და ექსპედიტორების მონაცემებზე დაყრდნობით.

ამის საპირისპიროდ, რუსეთის გავლით ნავთობის ექსპორტი მეოთხედზე მეტით შემცირდა მას შემდეგ, რაც ხელისუფლებამ რამდენჯერმე შეაჩერა კასპიის მილსადენის კონსორციუმის მუშაობა სხვადასხვა მოტივით. წლის განმავლობაში ყაზახეთმა რუსეთის გავლით 1,862 მილიონი ტონა ნავთობი გაიტანა 2021 წლის 2,554 მილიონი ტონისგან განსხვავებით, – გამოითვალა Reuters-მა.

გამოცემა აღნიშნავს, რომ ბათუმის პორტი გახდა მთავარი ალტერნატივა ყაზახური ნავთობპროდუქტებისთვის, რომელზეცაა დამოკიდებული ქვეყნის ბიუჯეტის ნახევარზე მეტი. მისი მეშვეობით ექსპორტი **„იზრდება სანქციების გამო“,** – განუცხადა გამოცემას ყაზახეთში: ყაზახეთი ცდილობს მოსკოვთან კავშირების გაწყვეტას.

ყაზახეთში ნავთობისა და გაზის უმსხვილესმა მწარმოებელმა Tengizchevroil-მა გასულ წელს ბათუმში 252,5 ათასი ტონა ნავთობი გაგზავნა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პორტში ტრანსპორტირება უფრო რთული და ძვირია, ვიდრე ნოვოროსიისკში.

**„ბათუმი არის ალტერნატიული მიმართულება (რუსული პორტების), ეკონომიკა არ თამაშობს როლს“,** – განუმარტა წყარომ Reuters-ს.

**შეერთებული შტატები აქტიურად თანამშრომლობს ყაზახეთის ხელისუფლებასთან, რათა დაიწყოს ნავთობის ექსპორტი ქვეყნიდან რუსეთის გვერდის ავლით,** – განაცხადა აშშ-ის ელჩმა ასტანაში დანიელ როზენბლუმმა გასული წლის ნოემბერში.

მისივე თქმით, მოლაპარაკებებში მონაწილეობენ როგორც ამერიკული კომპანიები, რომლებიც ყაზახეთის უმსხვილეს საბადოზე ნავთობს მოიპოვებენ, ასევე პარტნიორები სხვა ქვეყნებიდან.

ზაფხულში Kazmunaigas-მა აზერბაიჯანულ SOCAR-თან შეათანხმა წელიწადში 1,5 მილიონი ტონის, ანუ დღეში 30 000 ბარელის ექსპორტი. 2023 წლიდან ეს მოცულობა 5 მილიონ ტონამდე გაიზრდება.

## სანთელი

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აკადემიის ღვაწლმოსილი თანამშრომელი, სამეცნიერო-საორგანიზაციო დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი**

**ირინა დვალიძე**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

**პანაშვიდი: 8. 02. 16 სთ.**
**დაკრძალვა: 9. 02. 14 სთ.**
**მისამართი: ვაჟა ფშაველას გამზ. № 5, III სართული**

## სანთელი

**ნუხილი!**

**ნინო ხაფთანს**

**ჩემო საყვარელო ნინო ექიმო!**

**დედის ნატრული ზღვა მწუხარებით გითანაგრძნობ ძვირფას დედასთან სამუდამოდ განშორების გამო უმძიმეს განსაცდელში მყოფს.**

**მწამს, ქალბატონი ფედოსიას დედაშვილური სპეტაკი სული საუფლოში დაიდებს ბინას!**

პოეტი **ნანა დარჩიაშვილი**



# ლავასოღლი ტირანაში დააკავეს



**ალბანეთის პოლიციამ ე.წ. კანონიერი ქურდი მინდია გორგაძე, იგივე ლავასოღლი დააკავა. Euronews-ის ალბანური სამსახურის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სამართალდამცველებმა ლავასოღლი ალბანეთის დედაქალაქ ტირანაში აიყვანეს, სადაც ის იმალებოდა. არსებული ინფორმაციით, მას თან უკრაინის მოქალაქის ყალბი პასპორტი ჰქონდა. გავრცელებული ინფორმაციით, ის დანაშაულებრივი ჯგუფის ხელმძღვანელობასა და იარაღის უკანონოდ შენახვაშია ეჭვმიტანილი.**

# ორი თაღლითი და მითვისებული სამასი ათას ლარზე მეტი

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ჯგუფურად, ყალბი საგადასახადო დოკუმენტების დამზადება-გამოყენების, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, სახელმწიფო ბიუჯეტის მოტყუებით დიდი ოდენობით ქონებრივი დაზიანებისა და სახელმწიფოს ბიუჯეტის კუთვნილი თანხის თაღლითურად დაუფლების ფაქტზე, ორ პირს ბრალი წარუდგინეს,** – ამის შესახებ ინფორმაციას ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური ავრცელებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა, უკანონო მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, მათი მართვის ქვეშ მყოფი კომპანიების სახელით გაწერეს ყალბი ანგარიშ-ფაქტურები, რის შედეგადაც თავისივე კომპანიების სახელზე შექმნეს ჯამში 346 367 ლარის ყალბი აქტივი, საიდანაც 337 144 ლარის ყალბი აქტივი სრულად იქნა გამოყენებული ბიუჯეტის მიმართ არსებული საგადასახადო ვალდებულებების დასაფარად. ხოლო, 9 223 ლარის ფიქტიური აქტივი ბრალდებულების მიერ იქნა თაღლითური გზით დაუფლებული.

თაღლითების ქმედება სასჯელის სახედ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4-დან 7 წლამდე ვადით.



# ასეთი მიწისძვრა საუკუნეში ერთხელ ხდება

**6 თებერვალს, გამთენიისას, თურქეთში ძლიერი მიწისძვრა მოხდა. 7,8 მაგნიტუდის ბიძგებს მსხვერპლი და ნგრევა მოჰყვა თურქეთსა და სირიაში. მიწისძვრათა სერია გრძელდება. დაღუპულთა რიცხვი, რომელმაც ორივე ქვეყანაში (თურქეთსა და სირიაში) ექვს ათასს მიაღწია, ყოველ საათს იზრდება.**

**მიწისძვრის ეპიცენტრი თურქეთის ქალაქ გაზიანთეფიდან ჩრდილოეთით, სირიის საზღვრიდან დაახლოებით 90-მდე კილომეტრის მოშორებით იყო. თურქი გეოფიზიკოსების გაანგარიშებით, ქვეყნის სამხრეთ ნაწილში 6 თებერვალს მომხდარი მიწისძვრის სიმძლავრე 130 ბირთვულ ბომბს უდრიდა.**

როგორც გეოფიზიკოსი აჰმეტ ერჯანი ამბობს, მიწისძვრის შემდეგ ე.წ. „აფტერშოკები“ შეიძლება 2-3 წლის განმავლობაში გაგრძელდეს. ეს მიწისძვრა რამდენიმე მიწისქვეშა ფილის საზღვრის მონაკვეთზე მოხდა. ერთ-ერთი მათგანი - მკვდარი ზღვის ფენაა, რომელმაც შეიძლება 7,5 მაგნიტუდის მიწისძვრა გამოიწვიოს.

აქვე განთავსებულია აღმოსავლეთ ანატოლიის, ასევე „კვიპროსის რკალის“ მიწისქვეშა ფილები. სწორედ მათი შეჯახების შედეგად ხდება მიწისძვრები. მეცნიერები ამბობენ, რომ მსგავსი სიმძლავრის მიწისძვრები „საუკუნეებში ერთხელ“ ხდება. ცნობილმა სეისმოლოგმა თურქეთის მიწისძვრა იწინასწარმეტყველა.

# გაერო – დამანგრეველი მიწისძვრის შემდეგ დახმარებისთვის

**გაეროს წარმომადგენლები იმყოფებიან თურქეთსა და სირიაში დამანგრეველი მიწისძვრის შემდეგ დახმარებისთვის,** – ამის შესახებ გაერო-ს გენერალური ასამბლეის სხდომაზე გაეროს გენერალურმა მდივანმა, ანტონიუ გუტიერეშმა განაცხადა.

ასამბლეის სხდომაზე წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს სტიქიის შედეგად თურქეთსა და სირიაში დაღუპულთა ხსოვნას. სიტყვით გამოსვლისას გუტიერეშმა გაეროს წევრებს სოლიდარობისა და მიწისძვრის შედეგად დაზარალებულთა დახმარებისკენ მოუწოდა.

**„გაერო ახორციელებს ძალების მობილიზებას საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მხარდასაჭერად, ამიტომ, მოდით, ყველამ ერთად ვიმუშაოთ სოლიდარობის ნიშნად, რათა დავეხმაროთ ამ კატასტროფის შედეგად დაზარალებულებს, რომელთაგან ზოგიერთი უკვე სასწრაფოდ საჭიროებს ჰუმანიტარულ დახმარებას. ლტოლვილთა საკითხებზე მომუშავე უმაღლესი კომისრის პოსტზე ყოფნისას, მე რამდენჯერმე ვიმუშავე ამ სფეროში და არასდროს დამავიწყდება ადგილობრივი მცხოვრებლების არაჩვეულებრივი გულუხვობა. დადგა დრო, ჩვენც გამოვავლინოთ იგივე სოლიდარობა, რომელიც ვიხილე აღნიშნულ რეგიონში ლტოლვილების მიმართ, რომლებიც ყველა დროის ერთ-ერთ ყველაზე რთულ კონფლიქტს გაურბოდნენ“,** – განაცხადა გუტიერეშმა.

# მიწისძვრას ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი არ დაუზიანებია!

**ძლიერმა მიწისძვრამ, რომელიც 6 თებერვალს დილით თურქეთის სამხრეთ აღმოსავლეთ ნაწილში მოხდა, ქვეყნის ენერგეტიკულ ინფრასტრუქტურას სერიოზული ზიანი მიაყენა** – ამის შესახებ ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა ფაჰიტ დონმესმა განაცხადა.

**დონმესმა აღნიშნა, რომ სერიოზულად დაზიანდა ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის გადამცემი და გამანაწილებელი ხაზები, მისივე თქმით ყველაზე მეტად დაზიანდა ბუნებრივი აირის მაგისტრალური გადამცემი მილსადენი, რომელიც ეპიცენტრთან ახლოს კაჰრამანმარაშის თურქოღლუს რაიონში მდებარეობს.**

**ეს არის ჩვენი მთავარი მილსადენი, რომელიც ბუნებრივ აირს გაზიანთეპში, ჰატაიში და კილისში, განსაკუთრებით კი კაჰრამანმარაშში ატარებს. ამ დროისთვის ამ ადგილებზე შესაძლოა ელექტროენერგია და ბუნებრივი აირის მიწოდება შეიზღუდოს. სპეციალური ჯგუფები დაზიანებული ხაზების შეკეთებაზე მუშაობენ, სხვადასხვა ხარისხის დაზიანება აქვს თურქეთის ელექტროგადამცემი კორპორაციის (TEIAS) კუთვნილი დაახლოებით 30 ქვესადგურს“,** – აღნიშნა ფაჰიტ დონმესმა

ენერგეტიკის სამინისტროს წარმომადგენელმა კუგეუკთ უთხრა, რომ მიწისძვრას ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი არ დაუზიანებია, თუმცა ჩრდილოეთ ერაყის ავტონომიურმა ქურთულმა რეგიონმა განაცხადა, რომ თურქეთის პორტ ჯეიჰანში ნავთობის მიწოდება დროებით შეჩერებულია.

**„თურქეთსა და სირიაში მომხდარი მიწისძვრის გამო და ნავთობის ექსპორტის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და არასასურველი ინციდენტების თავიდან ასაცილებლად, ნავთობის ექსპორტი ქურთისტანის რეგიონის თურქეთთან დამაკავშირებელი მილსადენით შეჩერებულია“,** – განაცხადა რეგიონის ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ.






# საქართველო დგას თურქი ხალხის გვერდით და მზად არის, აღმოუჩინოს მათ ნებისმიერი საჭირო დახმარება!!!

**„საქართველომ თურქეთს დახმარების ხელი გაუწოდა და სტიქიის ზონაში სამაშველო ჯგუფებს აგზავნის. როგორც ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტრო იუწყება, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილებით, 60 მეხანძრე-მაშველი თურქეთში, სტიქიის ადგილას უკვე გაემგზავრა. ისინი სამძებრო სამუშაოებში აქტიურად ჩაერთვებიან,** – წერს თურქული პრესა.

წამყვანი თურქული მედიასაშუალებები, ასევე აქტიურად აშუქებენ სოციალურ ქსელ „ტვიტერში“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის გამოხმაურებას, სადაც ის უდიდეს თანაგრძნობას გამოხატავს თურქი ხალხის და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობისადმი ქაჰრამანმარაშში გამანადგურებელი მიწისძვრის შედეგად გარდაცვლილთა გამო და დაშავებულებს სწრაფ გამოჯანმრთელებას უსურვებს“.

# მანქანები ნაპრალებში ცვივა

**თურქეთის ქალაქ ანტალიასა და დემირკოპრუს შორის გზაზე გაჩენილ ნაპრალებში მანქანები ჩავარდა. სტიქიის შედეგად გზაზე გადაადგილება შეუძლებელი გახდა. მაშველებმა მძღოლებს აუცილებელი დახმარება აღმოუჩინეს.**

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჭავჭავაძის გამზირი №17ე
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძობულია
599 36-00-35
მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04
ტექნიკური რედაქტორი
კახა ძორიძე
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
გამომცემლები:
შპს 100 — ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“ გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი
uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ხვალ, 9 თებერვალს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.6424; ევრო - 2.8432;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.1778;
100 რუბლი - 3.7348; თურქული ლირა - 0.1405;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5544;
1000 სომხური დრამი - 6.6714

**ამინდი 8 თებერვლისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | -3, | დღე +6 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -6, | დღე +3 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +2, | დღე +8 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -3, | დღე +5 |
| თბილისი: | ღამე | 0, | დღე +6 |

**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge